Institute of Social Studies and Analysis

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის საგზაო რუკა

საბაზო კვლევის ანგარიში

2015

სარჩევი

ძირითადი შედეგები: 4

კვლევის მეთოდოლოგია 9

1. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ზოგადი პროფილი 17

1.1 ზოგადი ინფორმაცია საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესახებ 19

1.2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი სფეროები 25

1.3. სსო-ების ფილიალები და სამიზნე ჯგუფები 27

1.4. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობა/სტრატეგიები და მიზნის მისაღწევად გამოყენებული ინსტრუმენტები 32

1.5. სსო-ების მიერ გამოყენებული მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც შეუძლიათ სახელმწიფო პროგრამებსა და პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა 37

1.6. სსო-ების თანაშრომლობა სხვადასხვა ინსტიტუტებთან 41

1.7. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ადამიანური რესურსები და მათი დინამიკა 43

2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ანგარიშვალდებულება 45

3. სსო-ების ფინანსური მდგომარეობა 49

3.1. დაფინანსების ძირითადი და ალტერნატიული წყაროები 50

3.2. პროექტების ფინანსური მოცულობა 52

3.3. დაფინანსების წყაროების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია 53

3.4. სსო–თა ფინანსური მდგომარეობა 54

3.5. სსო–თა ფინანსური მდგრადობის შეფასება 57

3.6. სსო–თა დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის და სსო–თა მიმართ საგადასახადო პოლიტიკის შეფასება 61

4. სსო–თა ურთიერთობა ადგილობრივ/ ცენტრალურ ხელისუფლებასთან 65

5. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა 78

6. თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან/ბიზნესთან და მასმედიასთან ურთიერთობა 85

6.1. თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან 86

6.2. თანამშრომლობა მასმედიასთან 90

7. სამოქალაქო განათლების მხარდაჭერა 94

8. სსო–თა თანამშრომლობა თემატური და რეგიონული ქსელების ფარგლებში; მოხალისეობრივი აქტივობები და სსო–თა შორის სოლიდარობა 98

9. სოციალური საწარმოების პრაქტიკა 107

9.1. სოციალური საწარმოების სტატუსი და საქმიანობის პროფილი 109
9.2. სოციალური საწარმოების კლიენტები/მომსახურების მიმღებები 111
9.3. სოციალური საწარმოების სოციალური რეპრეზენტაცია 114
9.4. სოციალური საწარმოების ფინანსური მდგომარეობა და მდგრადობა..... 115
9.5. სოციალური საწარმოების წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორები 120
9.6. სოციალური საწარმოების განვითარების ხელის შემშლელი მიზეზები..... 123

ძირითადი შედეგები:

კვლევის ძირითადი მიზანს წარმოადგენდა: (i) საქართველოში არსებული სსო–ების შეფასება იმ ინდიკატორების საფუძველზე, რომლებიც შედის ე.წ. „სსო–ების საქმიანობის საგზაო რუკის“ (2014 – 2017 წწ.) პანელში; (ii) თავად ამ ინდიკატორების მოდიფიკაცია, რათა ისინი გახდეს უფრო მოქნილი და გაზომვადი.

კვლევა განხორციელდა როგორც თვისებრივი (მეორადი მონაცემების ანალიზი, ფოკუს ჯგუფები, ჩაღრმავებული ინტერვიუები), ისე რაოდენობრივი მეთოდების (გამოკითხვა პირისპირ ინტერვიუს გზით) გამოყენებით.

გამოიკითხა ორასამდე სსო საქართველოს მასშტაბით.

ქვემოთ მოცემულია კვლევის ძირითადი შედეგები.

<u>სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ზოგადი პროფილი</u>

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დიდ უმრავლესობას (82.2%) ფორმალურად დაფუძნებული ორგანიზაციები შეადგენს. სსო–ების გამოკვეთილი უმრავლესობა (66%) ამა თუ იმ გაერთიანების წევრია: ყველაზე ხშირია (35.5%) პლატფორმაში გაწევრიანება (შემთხვევათა 35.5%), ხოლო შემთხვევათა დაახლოებით 42%–ში სახეზეა რომელიმე ალიანსის, კოალიციის ან ქსელის წევრობა. სსო–თა 34% არ არის რომელიმე გაერთიანების წევრი. 2014 წელთან შედარებით გაერთიანების არაწევრი ორგანიზაციების რაოდენობა 8%-ითაა გაზრდილი. სსო-თა თითქმის ნახევარი (48.7%) რომელიმე ერთი გაერთიანების წევრია; 2 და მეტი გაერთიანების წევრს სსო–თა მოლოდ 17.3% წარმოადგენს. ყველაზე გავრცელებულია აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმის ფარგლებში გაერთიანება და თანამშრომლობა. თუმცა, 2014 წელთან შედარებით აღნიშნული პლატფორმის წევრთა წილი შემცირებულია 14%-ით. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თავიანთ აქტივობებს ძირითადად ლოკალურ და რეგიონულ დონეზე ახორციელებენ, თუმცა, შემთხვევათა 65.5%–ში ვლინდება ნაციონალურ, ხოლო 34.5% - ში – ტრანსნაციონალურ (საერთაშორისო) დონეებზე საქმიანობა (2014 წლის მსგავსად).

საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უმრავლესობას (66%) არ აქვს ფილიალები საქართველოს სხვა რეგიონში/ქალაქში. სათაო ოფისების ფართის საშუალო მაჩვენებელი კი 192 კვ.მ.–ია. მხოლოდ 37 სსო ფლობს დიდ საოფისე ფართს (250 – 500 კვ.მ ან მეტს - ძირითადად თბილისში). საოფისე ფართის სიდიდით გამირჩევა თბილისში მოქმედი სსო–ები (MEAN =236), ხოლო სიმცირით – აღმოსავლეთ საქართელოში მოქმედი სს0–ები (MEAN =107). სსო-თა ნახევარზე მეტს (53.8%) საოფისე ფართი ქირით აქვს აღებული (ამ მაჩვენებლით რეგიონები უსწრებენ თბილისს). რაც შეეხება სსო-ების სამიზნე ჯგუფებს (ბენეფიციარებს), ძირითადად 4

ჯგუფი გამოიკვეთა: საზოგადოება, ახალგაზრდები, ქალები, ბავშვები (2014 წლის მონაცემების მსგავსად).

საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობას ყველა ჩამოთვლილი სტრატეგია (ორგანიზაციის ბენეფიციარების საჭიროებები/მოთხოვნები; საქართველოს განვითარების სტრატეგიები; დონორის/სპონსორის პრიორიტეტები; ორგანიზაციის განვითარების სტრატეგია) მეტ-ნაკლებად შეეაბამება, თუმცა გამოიკვეთა ორი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგია, რომლებიც სწორედ ორგანიზაციის პრიორიტეტებზეა მორგებული: ორგანიზაციის ბენეფიციარების საჭიროებები/მოთხოვნები და ორგანიზაციის განვითარების სტრატეგია (2014 წლის მონაცემების ანალოგიურად). ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგია კი ცალსახად, ისევე როგორც 2014 წელს, ორგანიზაციის ბენეფიციარების მოთხოვნები/საჭიროებები აღმოჩნდა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (2014 წლის მსგავსად), ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად ძირითადად ინფორმაციის გავრცელების და საგანმანათლებლო სტრატეგიებზე, აგრეთვე, პრობლემების სიტუაციურ ანალიზზე აკეთებენ აქცენტს (გასათვალისწინებელია, რომ, კვლევის მიხედვით, ერთ-ერთი „მსხვილი“ სფერო, სადაც სსო-ები არიან კონცენტრირებულნი, სწორედ განათლების სფეროა). სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სუსტი მხარეა პოლიტიკის შემუშავება - როგორც საწყის ეტაპზე, ისე პოლიტიკის განვითარებისა და განხორციელების ეტაპებზე.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახელმწიფო პოლიტიკაზე ზეგავლენის მექანიზმები არსებითად უკავშირდება საჯარო შეხვედრებში/დებატებში მონაწილეობას, ინფორმაციის გავრცელებას და გასაჯაროებას (publicity), აგრეთვე, კვლევების ჩატარებას, კანონპროექტებისა და სტრატეგიების მომზადებას. ეს ნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოში ადეკვატურად პასუხობენ ორ ძირითად ფუნქციას: მომდინარე პროცესებზე ზედამხედველობას (ე.წ. “watch-dog”-ების ფუნქცია) და კვლევასა და სტრატეგიების შემუშავებაზე ორიენტირებულ საქმიანობას (ე.წ. „Think-tank”-ების ფუნქცია). თუმცა, კვლევამ ისიც აჩვენა, რომ სსო-ების პირველი რიგის პრიორიტეტია

<u>სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ანგარიშვალდებულება</u>

კვლევა მიუთითებს იმ ზოგად პრაქტიკაზე, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სტრუქტურაში არსებობს მმართველობითი რგოლები, რომელთა წინაშე ორგანიზაციები ანგარიშვალდებულნი არიან (დამფუძნებლები, აღმასრულებელი საბჭო (ე.წ. „ბორდი“), სამეთვალყურეო საბჭო და კავშირის/ასოციაციის წევრები).ყველაზე გავრცელებული სტრუქტურებია დამფუძნებლები (ჰყავს სსო–თა თითქმის 96%–ს) და აღმასრულებელი საბჭო (ჰყავს 74.1%–ს).

სსო–თა მმართელობითი სტრუქტურები ნომინალური ორგანიზაციული უჯრედები არ არიან, არამედ ჩართულნი არიან ორგანიზაციის საქმიანობათა დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის ეტაპებზე. რაც მნიშვნელოვანია, ეს ჩართვა სწორი აქცენტებით ხორციელდება (მაგ., დამფუძნებლები ნაკლებად ჩართულნი არიან სსო–თა საქმიანობაში, ვიდრე აღმასრულებელი საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო აქტიურია ორგანიზაციის საქმიანობის მონიტორინგის ეტაპზე და სხვ,).

სსო–თა ანგარიშვალდებულობის ნაკლებობაზე მიუთითებს ის, რომ მათი დიდი ნაწილი საერთოდ არ იყენებს არც შიდა (46.7%) და არც გარე (32.5%) აუდიტის მომსახურებას. შიდა აუდტის მომსახურებას სასურველი რეჟიმით (ანუ, ყოველწლიურად) მიმართავს სსო–თა 34%, ხოლო გარე აუდიტის ყოველწლიური გამოყენების მაჩვენებელი დაახლოებით 40%–ია.

<u>სსო-ების ფინანსური მდგომარეობა</u>

სსო–თა დიდი უმრავლესობისთვის (80%–მდე) დაფინანსების ძირითადი წყაროა საერთაშორისო ორგანიზაციები/უცხოელი დონორები; ერთადერთ ანგარიშგასაწევ ალტერნატივად სახელმწიფო ფონდები სახელდება (31% მიუთითებს როგორც დაფინანსების მეორად წყაროზე). დაფინანსების ალტერნატიული წყაროების წილი სამოქალაქო სექტორში დაბალია. ეს, დაფინანსების წყაროების ნაკლებად დივერსიფიცირებულობაზე მიანიშნებს, რაც სსო–თა ფინანსური მდგრადობისთვის სერიოზული გამოწვევაა.

დაფინანსების წყაროები ძირითადად ლოკალიზებულია საქართველოში (საერთაშორისო ორგანიზაციების ფილიალების სახით); ასევე, ხშირად, ევროპაში და ზოგჯერ - ამერიკაში. სამოქალაქო სექტორს საქართველოში ძალიან იშვიათად აფინანსებენ დონორები აზიიდან, რუსეთიდან და სამხრეთ კავკასიიდან.

სსო–თა პროექტების ფინანსური მოცულობა მეტ–ნაკლებად დივერსიფიცირებულია: ორგანიზაციათა ყველაზე დიდი ნაწილი (39.6%) მუშაობს შერეული (როგორც მცირე, ისე დიდი) მოცულობის პროექტებზე; მნიშვნლოვანია მცირე (20 000 ევრომდე) მოცულობის პროექტებზე მომუშავე ორგანიზაციათა წილიც (27.9%).

სსო–თა წარმომადგენლების უმრავლესობა (56.3%) მიუთითებს საკუთარი ორგანიზაციის მეტ-ნაკლებად სტაბილურ ფინანსურ მდგომარეობაზე. თუმცა, შეფასებები უარყოფით არხში ინაცვლებს მაშინ, როდესაც რესპონდენტები ზოგადად სამოქალაქო სექტორის ფინანსურ სტაბილურობაზე მსჯელობენ (შეფასებებს „ცუდი“ ან „ძალიან ცუდი“ რესპონდენტთა 70%–ზე მეტი გამოთქვამს).

ფინანსური სტაბილურობის ხელისშემშლელ ძირითად მიზეზებად რესპონდენტებმა, როგორც საკუთარი ორგანიზაციისთვის, ისე, ზოგადად, სამოქალაქო სექტორისთვის დაასახელეს ორი: ა) ორგანიზაციის საქმიანობის პროფილის მიმართ დონორების დაბალი

ინტერესი და ბ) ე.წ. „ელიტური ორგანიზაციების“ მონოპოლია სამოქალაქო საზოგადოების სივრცეში.

სსო–თა შეფასებებში იკვეთება ფინანსური მდგომარეობის ზრდის ტენდენცია: 2012 წლიდან მოყოლებული, სსო–თა უმეტეს ნაწილს (43.7%), მათივე შეფასებით, ფინანსური მდგომარეობა გაუუმჯობესდა; რესპონდენტთა მესამედი (33%) ფინანსური მდგომარეობის უცვლელობაზე მიუთითებს; მხოლოდ მეხუთედი აღნიშნავს ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას. ამას ადასტურებს სსო–თა წლიური ბრუნვის პოზიტიური დინამიკა ბოლო სამი წლის განმავლობაში (2012–14 წლები).

სსო–თა შეფასებები სამოქალაქო სექტორის დაფინანსების შესახებ არსებული კანონმდებლობის მიმართ უფრო მეტად მიდრეკილია უარყოფითისკენ (ყოველი მეორე კანონმდებლობას აფასებს როგორც „ცუდს“ ან „ძალიან ცუდს“). კანონმდებლობის გაუმჯობესება, რესპონდენტთა აზრით, უნდა მოხდეს სპონსორობის შესახებ რეგულაციების გაუმჯობესებით ან ხელისუფლების (ცენტალური/ადგილობრივი) წახალისების მიმართულებით სამოქალაქო სექტორის პროექტების თანადაფინანსებისთვის.

არაერთგვაროვანია სსო–თა დამოკიდებულება სამოქალაქო სექტორის მიმართ არსებული საგადასახადო პოლიტიკის შეფასებისას. უმეტესად, ვლინდება ნეიტრალური განწყობა; სსოთა უმრავლესობა (59.8%) საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციის მომხრეა, რომელიც სამოქალაქო სექტორისთვის გადასახადების (საშემოსავლო, მოგების და სხვ.) შემცირებას გულისხმობს.

<u>სსო–თა ურთიერთობა ადგილობრივ/ ცენტრალურ ხელისუფლებასთან</u>

გამოკითხვა აჩვენებს სამოქალაქო სექტორსა და ხელისუფლებას (ცენტრალური/ადგილობრივი) შორის ურთიერთობის ამბივალენტური სურათს:

ა) ერთი მხრივ, სსო–თა წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუთითებს, რომ ურთიერთობები პოზიტიურია (განსაკუთრებით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან); ეს გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო სტრუქტურებთან აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს სხვადასხვა საკითხების ირგვლივ, სამოქალაქო სექტორი რჩევებს (კონსულტაციებს) აძლევს ხელისუფლებას, ხდება ერთობლივი პროექტების ინიცირება და ა.შ.;

ბ) მეორე მხრივ, სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობა ხელისუფლებასთან (ორივე დონეზე) ძირითადად კონსულტაციების წარმოებით შემოიფარგლება და ნაკლებად ეხება სსო-ების მიერ ხელისუფლებისთვის სერვისების მიწოდებას, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების განსაზღვრაში აქტიურ მონაწილეობას; აგრეთვე, სუსტია სსო–თა მიერ ინიცირებული პროგრამების ფინანსურ მხარდაჭერა ხელისუფლების მხრიდან და ა.შ. ამავე დროს, რესპონდენტები ხაზს უსვამენ ხელისუფლების მხრიდან უკუკავშირის სისუსტეს, სახელმწიფო მოხელეთა დაბალ

კომპეტენციას და დიალოგისთვის მწირ რესურსებს, რაც მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორებია ხელისუფლებასთან წარმატებულ ურთიერთობაში.

ასეთი ამბივალენტური სურათი მიუთითებს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობა მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე არსებობს და არ შეიძლება ვისაუბროთ დიალოგის და პრაქტიკათა დაახლოების რამდენადმე მდგრად (established) კულტურაზე.

ადგილობრივ/ცენტრალურ ხელისუფლებაზე სსო-ების ზეგავლენასთან მიმართებაში იკვეთება, რომ ზეგავლენა შედარებით ხელშესახებია ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიმართებაში (ძლიერ ზეგავლენაზე მიუთითებს გამოკითხულთა 9.1%, ხოლო საშუალო ზეგავლენაზე – 43.7%); ცენტრალურ ხელისუფლებაზე ძლიერი ზეგავლენის შესახებ საუბრობენ მხოლოდ თბილისში (თუმცა, მაჩვენებელი ამ შემთხვევაშიც მცირეა - დაახლ. 8%; თბილისელ სსო–თა უმრავლესობა მიუთითებს საშუალო (36%) და სუსტი (35.1%)გავლენის შესახებ ცენტრალურ ხელისუფლებაზე).

სსო-ები ადგილობრივ/ცენტრალურ ხელისუფლებასთან ინტენსიურ დიალოგს განიხილავენ ორგანიზაციის ხელისუფლებასთან ურთიერთობაში წარმატების მიღწევის ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტად (სხვა მნიშვნელოვანი მექანიზმებია: სსო-ს წევრების ჩართულობა ხელისუფლების ინიციატივით შექმნილი სხვადასხვა კომისიების/კომიტეტების საქმიანობაში და ხელისუფლების მიერ სსო-ების იდეების გაზიარება).
აღნიშნული მონაცემები იმეორებს 2014 წელს ჩატარებული კვლევის შედგად გამოვლენილ ტენდენციებს.

<u>საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა</u>

საქართველოს სსო–თა დონორი ორგანიზაციების ჩამონათვალი მრავალფროვანია. თუმცა, გამოიკვეთა სამი ორგანიზცია, საიდანაც სამოქალაქო სექტორი ყველაზე ხშირად ფინანსდება, 2012 წლიდან მოყოლებული: ა) ევროკავშირი (12.1%), USAID (9.4%) და „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“ (8.4%) (ანალოგიური მონაცემები დაფიქსირდა 2014 წლის კვლევაშიც).

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ძირითადი მიზანს წარმოადგენდა: (i) საქართველოში არსებული სსო–ების შეფასება იმ ინდიკატორების საფუძველზე, რომლებიც შედის ე.წ. „სსო–ების საქმიანობის საგზაო რუკის“ (2014 – 2017 წწ.) პანელში; (ii) თავად ამ ინდიკატორების მოდიფიკაცია, რათა ისინი გახდეს უფრო მოქნილი და გაზომვადი.

კვლევა განხორციელდა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით.

1. თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევა განორციელდა ისეთი მეთდების გამოყენებით, როგორიცაა: დოკუმენტების ანალიზი (Desk Research), ჯგუფური ინტერვიუები და ჩაღრმავებული ინტერვიუები.

დოკუმენტების ანალიზის მეთოდი გულისხმობს მეორადი მონაცემების მოძიებას და მის სტრუქტურულ და შინაარსობრივ ანალიზს. მეორადი მასალები მოიცავდა: კვლევების ანალიტიკურ ანგარიშებს, სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუციების, ასევე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაციებს, ინტერნეტში ხელმისაწვომ მასალებს და ა.შ.

განსაკუთრებით ნაყოფიერად იქნა გამოყენებული 2014 წელს სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) მიერ ერთობლივად ჩატარებული კვლევა – Mapping studies of CSOs in Georgia.

ფოკუს ჯგუფების და **ჩაღრმავებული ინტერვიუების** მიზანს წარმოადგენდა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გარემოს ექსპერტული შეფასება სწორედ „საგზაო რუკის“ შემადგებელი ინდიკატორების მიხედვით.

ჯგუფური დისკუსიის და ჩაღრმავებული ინტერვიუს **გაიდლაინი** შედგებოდა დაახლოებით 15-20 ღია შეკითხვისგან,, რომლებიც მოდერატორის/ამალიტიკოსის მიერ გამოიყენებოდა დისკუსიის და ჩაღრმავებული ინტერვიუს მსვლეობისას.

სულ ჩატარდა 10 ჯგუფური დისკუსია, მათგან 4 თბილისში, ხოლო დანარჩენი 6 საქართველოს 3 რეგიონში: შიდა ქართლში (გორი), სამცხე-ჯავახეთში (ახალციხე) და იმერეთში (ქუთაისი). დისკუსიაში მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები (რეგიონებში - მუნიციპალიტეტები), რომელთაც შეხება ჰქოდათ სსო-ებთან, ასევე თავად სსო-ების წარმომადგენლები.

ჯგუფური დისკუსიის ხანგრძლივობა შეადგენდა დაახლოებით 1.5 საათს, ხოლო მონაწილეთა რაოდენობა იყო 7-10 მონაწილე.

ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილე ორგანიზაციების **შერჩევა** განხორციელდა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) მიერ მოწოდებული სსო–თა მონაცემთა ბაზიდან.

ჯგუფური დისკუსიების ჩაწერა მოხდა ვიდეო და აუდიო ფორმატით. ამის შემდგომ განხორციელდა პირველადი მასალის დამუშავება და ანალიზი სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით (დაჯგუფება, ტიპოლოგიზაცია, თეორეტიზირება.

პროექტის ფარგლებში სულ ჩატარდა **4 ჩაღრმავებული ინტერვიუ** (პირისპირ ინტერვიუს მეთოდი); ჩაღრმავებული ინერვიუ განხორციელდა ჯგუფური დისკუსიების შედეგების გამდიდრების მიზნით. შესაბამისად, ინტერვიუები ჩატარდა ჯგუფური დისკუსიების პარალელურად.

ჩაღრმავებული ინტერვიუების **რესპონდენტებს** წარმოადგენდნენ პოლიტიკის შემუშავებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო ექსპერტები და ა.შ.

ინტერვიუს **ხანგრძლივობა** იყო დაახლ. 45 წუთთ. ყველა მათგანი ჩატარდა ქ. თბილისში.

ინტერვიუების ჩაწერა განხორციელდა აუდიო ფორმატში. მოხდა მისი ტრანსკრიპცია, დამუშავება და ანალიზის თვისებრივ ნაწილში ჩართვა.

2. რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევა დაეფუძნა სტრუქტურირებულ ინტერვიუებს სამოქალაქო სექტორის ძირითადი აქტორების წარმომადგენლებთან (ძირითადად ის სსო-ები, რომლებიც მუშაობენ პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე სხვადასხვა სფეროში).

კვლევის სამიზნე ჯგუფი: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოში;

შერჩევის ზომა: 197 დასრულებული ინტერვიუ (შერჩევის ცდომილება 5% - 90%-იანი საიმედოობისთვის)

შერჩევის ჩარჩო: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა. მონაცემთა ბაზის მოწოდება უზრუნველყო კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრმა (ICCN). ბაზის ფორმირება მოხდა, ასევე, სხვადასხვა წყაროების საშუალებით, მაგ: საქართველოში პოლიტიკის შემუშავებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები, საქართველოს საჯარო რეესტრი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

შერჩევის დიზაინი: მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა.

	სსო-ების რაოდენობა	ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა
თბილისი	466	114
აჭარა	21	5
ქვემო ქართლი	22	6
იმერეთი	60	16
მცხეთა-მთიანეთი	15	4
შიდა ქართლი	25	7
გურია	10	7
სამეგრელო-ზემო სვანეთი	69	10
სამცხე-ჯავახეთი	34	7
კახეთი	36	21
ჯამი	**758**	**197**

კვლევის ინსტრუმენტი (კითხვარი) შედგებოდა დახურული, ნახევრად დახურული და ღია შეკითხვებისაგან. კითხვარი აიგო „საგზაო რუკის“ შემადგენელი და თვისებრივი კვლევის შედეგად დაზუსტებული ინდიკატორებისსაფუძველზე.

პილოტაჟი: კითხვარის შემუშავების შემდგომ მოხდა მისი პრეტესტირება (6 კითხვარი), რომლის საფუძველზე განხორციელდა საბოლოო ცვლილებები კითხვარში.

ინტერვიუერთა ტრენინგი: კითხვარის ადაპტაციის დასრულების შემდგომ განორციელდა ინტერვიუერთა ტრენინგი, რომელიც შეეხებოდა საკვლევი სფეროსა და კითხვარის სპეციფიკას, შერჩევის დიზაინს და ა.შ.

ინტერვიუერთა რაოდენობა: 9 ინტერვიუერი.

საველე სამუშაოები გრძელდებოდა დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში. ინტერვიუერებს სუპერვიზირებას უწევდა სოციალური კვლვეისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) ველის კოორდინატორი. თითოეულ ინტერვიუერს ევალებოდა დაახლოებით 20 ინტერვიუს ჩატარება.

საველე სამუშაოების დასრულებისთანავე განხორციელდა **საველე სამუშაოების კონტროლი.** კონტოლს დაექვემდებარა დასრულებულ ინტერვიუთა 10% (19 ინტერვიუ). ველის კონტროლი განხორციელდა ჯგუფის მიერ, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი ტრენინგი. საველე სამუშაოების კონტროლის ხანგრძლივობა იყო 5 დღე.

მონაცემების დამუშავება და ანალიზი: გამოკითხვის მონაცემები დამუშავდა სოციალურ კვლევათა სტატისტიკური პროგრამის SPSS ბაზაზე, რომელიც უზრუნველყოფს სტატისტიკურ მონაცემებს ცხრილებისა და დიაგრამების სახით. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი განხორციელდა უნივარიაციული (სიხშირული განაწილებები, ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები) და ბივარიაციული (კროსტაბულაცია, კორელაცია) ანალიზის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით.

რაოდენობრივი კვლევის ბოლო ეტაპზე სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) ანალიტიკოსების მიერ შემუშავდა საბოლოო ანალიტიკური ანგარიში, რომელმაც, რაოდენობრივი მონაცემების გარდა, მოიცვა, აგრეთვე, თვისებრივი კვლევის ძირითადი მიგნებები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია **ინდიკატორების სრული სია** კვლევის პრიორიტეტების და ინფორმაციის წყაროების გათვალისწინებით:

ინდიკატორების სრული სია კვლევის პრიორიტეტების და ინფორმაციის წყაროების გათვალისწინებით:

პრიორიტეტი	შერჩეული ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო
1. გაძლიერდა დიალოგის სივრცე სსო-ებსა და ხელისუფლებას შორის ადგილობრივ დონეზე და გაუმჯობესდა მისი მოცულობა	გაიზარდა ხელისუფლებასთან დიალოგშ ჩართული სსო-ების რაოდენობა	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	კოოპერაცია ეფექტურია, როდესაც კოოპერაციის შედეგები გავლენას ახდენს მიღებულ გადაწყვეტილებებზე	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
2. გაძლიერდა სსო-ების ევროკავშირთან და სხვა დონორებთან ურთიერთობა	სსო-ები ჩართულნი არიან ევროკავშირის პროგრამების ფორმულირებაში, განხორციელებაში, მინიტორინგსა და შეფასებაში.	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	გრანტების რაოდენობა, რომლებიც მიღებულია ევროკავშირიდან და სხვა დონორი ორგანიზაციებიდან.	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	განვითარდა ევროკავშირის სტრუქტურებთან თანამშრომლობის ახალი ფორმები და გაჩნდნენ ახალი დონორები[1]	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
3. გაიზარდა სსო-ების პასუხისმგებლობა/ანგარიშვალდებულება	სსო-ები იყენებენ საკუთარ კავშირებს მათივე საქმიანობების დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგისათვის	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	შიდა/გარე აუდიტორული მომსახურება ყოველწლიურად გამოიყენება	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	გაზრდილია სსო-ებს შორის სოლიდარობის დონე	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
4. გაძლიერდა სსო-ების ფინანსური მდგრადობა	სსო-ებმა მოახდინეს საკუთარი დაფინანსების წყაროეის დივერსიფიცირება (მოცულობის, რეგიონის, თემის და ა.შ. მიხედვით)	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	ბოლო 3-5 წლის მონაცემებით შეინიშნება სსო-ების წლიური ბრუნვის პოზიტიური დინამიკა	მეორადი მონაცემების ანალიზი
	საერთაშორისო დონორების სტაბილურობა _ (ad hoc გრანტები ხანგრძლივი თანამშრომლობისათვის)	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	ფინანსური მდგრადობის უსაფრთხოება საგადასახადო პოლიტიკის გავლენისგან	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

[1] კერძოდ: ევროკავშირის და სხვა დონორების მიერ ინიცირებულ ღონისძიებებში მონაწილეობა; შეხვედრებში/დისკუსიებში ერთობლივი მონაწილეობა; სსო-ების მიერ განხორციელებული პროექტების პრეზენტაციებზე ევროკავშირის და სხვა დონორების წარმომადგენლების მიწვევა; ევროკავშირის და სხვა დონორების მიერ შეთავაზებბულ სერვისებში ჩართულობა (მაგ: ტრენინგები)

პრიორიტეტი	შერჩეული ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო
5. მხარდაჭერილია სამოქალაქო განათლება	მოსწავლეებისა და მოქალაქეების მოხალისეობით დაიტერესება სსო-ებთან თანამშრომლობის ფარგლებში	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	სამოქალაქო განათლების მხარდაჭერა პოლიტიკის შემუშავების დონეზე[2]	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	სამოქალაქო განათლების კურსების მხარდაჭერა საგანმანათლებლო დაწესებულებების კურიკულუმში (სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში)	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	მედიის საშუალებით სამოქალაქო განათლების მხარდაჭერა	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
6. სსო-ებმა საქართველოს რეგიონებში გააძლიერეს საკუთარი შესაძლებლობები და საზოგადეობის ინფორმირება	რეგიონული სსო-ების მიერ პოლიტიკის შემუშავების მაღალი ხარისხის და ადვოკატირების განხორციელების ტენდენცია	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	რეგიონული სსო-ების ადამინური და ფინანსური რესურსების პოტენციალი	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები; დოკუმენტების ანალიზი
	რეგიონული სსო-ების საჯარო რეპრეზენტაცია (წევრების მობილიზაცია)	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	რეგიონნული სსო-ების მიერ თვითგანვითარების ინტერესის გამოხატვა[3]	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	რეგიონული სსო-ების სამოქალაქო მოხალიეობრივ საქმიანობებში ჩართვა	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	რეგიონული სსო-ების გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
7. გაძლიერდა სსო-ების პოლიტიკის შემუშავებაში ჩართვის შესაძლებლობა	საზოგადოების მიერ სამოქალაქო სექტორის აღქმის ტენდენცია	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	სახელმწიფო პოლიტიკაზე ზეგავლენინს მექანიზმების გამოყენება [4]	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	ადგილობრივ/ცენტრალური ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის მაღალი ინტენსივობა	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

[2] აისახება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის და ა.შ. პოლიტიკაზე

[3] საგანმამათლებლო ტრენნინგებში/სემინარებში, ზაფხულის/ზამთრის სკოლებში მონაწილეობა

[4] შეხვედრებში, კონფერენციებსა და დებატებში მონაწილეობა; სტრატეგიებისა და სხვა სფეროების განვითარება; სხვადასხვა სფეროებში ინფორმაციის გავრცელება; საჯარო კამპანიის ჩატარება ადგილობრივ და საჯარო დონეზე; სახელისუფლო ორგანოების ღონისძიებებში მონაწილეობა (საპარლამენტი კომისიები, საბჭო და ა.შ.)

პრიორიტეტი	შერჩეული ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო
8. მხარდაჭერილია სსო-თა რეგიონული და თემატური ქსელი	ქსელი, რომელიც მონაწილეობს ხელისუფლებასთაბ და დონორებთან ერთად პოლიტიკის შემუშავებაში	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	სსო-ების რეგიონული დაფარვა (ფილიალები სხვადასხვა რეგიონებში)_	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	სსო-ების მიერ გამოიყენება თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები [5]	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	თემაზე/საკითხზე მუშაობისას სსო-ები მხედველობაში იღებენ შესაბამის კვლევით, საგანმანათლებლო და პრაქტიკულ (“watch dog”) გამოცდილებას[6]	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
9.მხარდაჭერილია პარტნიორობა სსო-ებს, ადგილობრივ ხელისუფლებებს, ბიზნესსა და მედიას შორის.	ადგილობრივ დონეზე ერთობლივად იდენტიფიცირებული პროექტები მდგრადი განვითარებისათვის	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	ეკონომიკურ აგენტებთან/ბიზნესთან პროდუქტიული თანამშრომლობა [7]	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
	მედიასთან პროდუქტიული თანამშრომლობა [8]	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები
10. განვითარდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმოამდგენლების შესაძლებლობები, რომელბიც დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობასთან	ადგილობრივი ბიუჯეტი ასახავს მოქალაქეთა შეხედულებებს	ფოკუს ჯგუფები
	ადგილობრივი ხელისუფლების მზაობა სსო-ების პოლიტიკის შემუშავებასა და პოლიტიკის განვითარების საკითხებში ჩასართავად, სხვადასხვა სფეროში	ფოკუს ჯგუფები
	ადგილობრივი ხელისუფლების მზაობა დაიქირავოს სსო-ები ინდივიდუალური აქტივობების განსახორციელებლად (აუტსორსინგი)	ფოკუს ჯგუფები
	ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო რესურსები, რაც უზრუნველყოფს პრობლემების გადაჭრას (სსო-ებთან	ფოკუს ჯგუფები

[5] კონსორციუმი/ერთობა. ასოციაცია; პლატფორმის ფორმატში; როგორც ქვეკონტრაქტორი/პარტნიორი/მიწვევის ფორმით; პრეზენტაციებზე ერთობლივი მიწვევა და ა.შ.; ;

[6] ისინი მისდევენ დამატებით, ერთობლივად განვითარებულ პრაქტიკებს.

[7] ერთობლივი პროექტების ინიცირება; ეკონომიკური აგენტების კონსულტაციები; სსო-ების აქტივობების დაფინანსება; სსო მოხალისეთა მონაწილეობა ბიზნეს კომპანიების აქტივობებში, და სხვ.

[8] ღონისძიებებზე მიწვევა; საგანმანათლებლო/საჯარო კამპანიების ჩატარებისათვის კოლაბორაცია; ჟურნალისტებისათვის ტრეინგების ჩატარება; დაფინანსების ანგარიშები/საგამოძიებო ჟურნალისტიკა; კვლევების ჩატარება მედიისათვის; მედიის ლობირების მიზნით გამოყენება, სახელმწიფო ადმინისტრაციაზე ზეწოლა

პრიორიტეტი	შერჩეული ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო
	თანამშრომლობით)	
11. მხარდაჭერილია/წახალისებულია სოციალური მეწარმეობის კონცეფცია და პრაქტიკა	სსო-ების რაოდენობა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერ საქმიანობებთან	მეორადი მონაცემების ანალიზი
	სოციალური მეწარმეობის კონცეფციის და მარეგულირებელი პრინციპების არსებობა	მეორადი მონაცემების ანალიზი
	სოციალური საწარმოების პრაქტიკა საქართველოში (რაოდენობა, ზომა. პროფილი და ა.შ.)	მეორადი მონაცემების ანალიზი
	სოციალური მეწარმეობის მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები	რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

1. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ზოგადი პროფილი

შეჯამება:

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დიდ უმრავლესობას (82.2%) ფორმალურად დაფუძნებული ორგანიზაციები შეადგენს. სსო–ების გამოკვეთილი უმრავლესობა (66%) ამა თუ იმ გაერთიანების წევრია: ყველაზე ხშირია (35.5%) პლატფორმაში გაწევრიანება (შემთხვევათა 35.5%), ხოლო შემთხვევათა დაახლოებით 42%–ში სახეზეა რომელიმე ალიანსის, კოალიციის ან ქსელის წევრობა. სსო–თა 34% არ არის რომელიმე გაერთიანების წევრი. 2014 წელთან შედარებით გაერთიანების არაწევრი ორგანიზაციების რაოდენობა 8%-ითაა გაზრდილი. სსო-თა თითქმის ნახევარი (48.7%) რომელიმე ერთი გაერთიანების წევრია; 2 და მეტი გაერთიანების წევრს სსო–თა მოლოდ 17.3% წარმოადგენს. ყველაზე გავრცელებულია აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმის ფარგლებში გაერთიანება და თანამშრომლობა. თუმცა, 2014 წელთან შედარებით აღნიშნული პლატფორმის წევრთა წილი შემცირებულია 14%-ით. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თავიანთ აქტივობებს ძირითადად ლოკალურ და რეგიონულ დონეზე ახორციელებენ, თუმცა, შემთხვევათა 65.5%–ში ვლინდება ნაციონალურ, ხოლო 34.5% - ში – ტრანსნაციონალურ (საერთაშორისო) დონეებზე საქმიანობა (2014 წლის მსგავსად).

საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უმრავლესობას (66%) არ აქვს ფილიალები საქართველოს სხვა რეგიონში/ქალაქში. სათაო ოფისების ფართის საშუალო მაჩვენებელი კი 192 კვ.მ.–ია. მხოლოდ 37 სსო ფლობს დიდ საოფისე ფართს (250 – 500 კვ.მ ან მეტს - ძირითადად თბილისში). საოფისე ფართის სიდიდით გამირჩევა თბილისში მოქმედი სსო–ები (MEAN =236), ხოლო სიმცირით – აღმოსავლეთ საქართელოში მოქმედი სს0–ები (MEAN =107). სსო-თა ნახევარზე მეტს (53.8%) საოფისე ფართი ქირით აქვს აღებული (ამ მაჩვენებლით რეგიონები უსწრებენ თბილისს). რაც შეეხება სსო-ების სამიზნე ჯგუფებს (ბენეფიციარებს), ძირითადად 4 ჯგუფი გამოიკვეთა: საზოგადოება, ახალგაზრდები, ქალები, ბავშვები (2014 წლის მონაცემების მსგავსად).

საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობას ყველა ჩამოთვლილი სტრატეგია (ორგანიზაციის ბენეფიციარების საჭიროებები/მოთხოვნები; საქართველოს განვითარების სტრატეგიები; დონორის/სპონსორის პრიორიტეტები; ორგანიზაციის განვითარების სტრატეგია) მეტ-ნაკლებად შეეაბამება, თუმცა გამოიკვეთა ორი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგია, რომლებიც სწორედ ორგანიზაციის პრიორიტეტებზეა მორგებული: ორგანიზაციის ბენეფიციარების საჭიროებები/მოთხოვნები და ორგანიზაციის განვითარების სტრატეგია (2014 წლის მონაცემების ანალოგიურად). ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგია კი ცალსახად, ისევე როგორც 2014 წელს, ორგანიზაციის ბენეფიციარების მოთხოვნები/საჭიროებები აღმოჩნდა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (2014 წლის მსგავსად), ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად ძირითადად ინფორმაციის გავრცელების და საგანმანათლებლო სტრატეგიებზე,

აგრეთვე, პრობლემების სიტუაციურ ანალიზზე აკეთებენ აქცენტს (გასათვალისწინებელია, რომ, კვლევის მიხედვით, ერთ-ერთი „მსხვილი“ სფერო, სადაც სსო-ები არიან კონცენტრირებულნი, სწორედ განათლების სფეროა). სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სუსტი მხარეა პოლიტიკის შემუშავება - როგორც საწყის ეტაპზე, ისე პოლიტიკის განვითარებისა და განხორციელების ეტაპებზე.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახელმწიფო პოლიტიკაზე ზეგავლენის მექანიზმები არსებითად უკავშირდება საჯარო შეხვედრებში/დებატებში მონაწილეობას, ინფორმაციის გავრცელებას და გასაჯაროებას (**publicity**), აგრეთვე, კვლევების ჩატარებას, კანონპროექტებისა და სტრატეგიების მომზადებას. ეს ნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოში ადეკვატურად პასუხობენ ორ ძირითად ფუნქციას: მომდინარე პროცესებზე ზედამხედველობას (ე.წ. “**watch-dog**”-ების ფუნქცია) და კვლევასა და სტრატეგიების შემუშავებაზე ორიენტირებულ საქმიანობას (ე.წ. „**Think-tank**”-ების ფუნქცია). თუმცა, კვლევამ ისიც აჩვენა, რომ სსო-ების პირველი რიგის პრიორიტეტია

1.1 ზოგადი ინფორმაცია საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესახებ

გამოკითხული 197 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის დიდი უმრავლესობა (82.2%) ფორმალურად დაფუძნებული ორგანიზაციებია. 13.2%–ს არაფორმალური, *ad hoc* ან თვითორგანიზებული ჯგუფი შეადგენს. დასავლეთ საქართველოში ფორმალურად დაფუძნებული ორგანიზაციების მაჩვენებელი შედრებით იკლებს – 73.7%-ია.

დიაგრამა#1.1



N = 197

გამოკითხვის შედეგების თანახმად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გამოკვეთილი უმრავლესობა (66%) რომელიმე გაერთიანების წევრია: ყველაზე დიდი რაოდენობა პლატფორმაშია გაწევრიანებული (შემთხვევათა 35.5%), ხოლო შემთხვევათა დაახლოებით 42%–ში სახეზეა რომელიმე ალიანსის, კოალიციის ან ქსელის წევრობა. არც ერთი გაერთიანების წევრი არ არის სსო–თა 34%. განსხვავებებია საქართველოს მხარეების მიხედვით ჭრილში: თბილისში გამოკითხულთაგან 48 სსო (45.6%) პლატფორმის წევრია, დასავლეთ საქართველოში - 12 სსო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - 10 სსო. სსოების ყველაზე დიდი რაოდენობა, რომლებიც არც ერთი გაერთიანების წევრს არ წარმოადგენს, აღმოსავლეთ საქართველოშია (27 სსო 55-დან - 60%).

2014 წლის გამოკითხვასთან შედარებით, 2015 წელს მონაცემები რამდენადმე შეცვლილია, თუმცა, შენარჩუნებულია ზოგადი ტენდენციები. მაგ: დაახლოებით 14%-ით გაიზარდა იმ სსო-ების რაოდენობა, რომლებიც არც ერთი გაერთიანების წევრი არ არის.

დიაგრამა#1.2



დიაგრამა#1.3



საქართველოში მოქმედი სსო-ების თითქმის ნახევარი რომელიმე ერთი გაერთიანების წევრია, ასეთია 96 სსო (48.7%). 2 და მეტი გაერთიანების წევრს მხოლოდ 34 სსო წარმოადგენს (17.3%). 2014 წლის მონაცემები 2015 წლის ტენდენციების მსგავსია.

ცხრილი#1.1

2015

Is your organization a member of ...?

# of union membership	Frequency	Percent
0	67	34.0
1	96	48.7
2	26	13.2
3	7	3.6
4	1	0.5
Total	197	100.0

ცხრილი#1.2

2014

Is your organization a member of ...?

# of union membership	Frequency	Percent
0	44	25.7
1	91	53.2
2	28	16.4
3	7	4.1
4	1	0.6
Total	171	100.0

რაც შეეხება საკითხს, თუ კონკრეტულად რომელი გაერთიანების წევრები არიან საქართველოში მოქმედი სსო-ები, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევაში ამგვარ გაერთიანებას წარმოადგენს „აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმა“ (25.4%). დანარჩენი დასახელებული გაერთიანებების ხვედრითი წილი უმნიშვნელოა. იგივე ტენდენციები შეინიშნებოდა 2014 წელს, თუმცა, მას შემდეგ „აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის“ წევრთა ხვედრითი წილი დაახლოებით 14%-ით შემცირდა. თბილისის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ჭრილში არ დაფიქსირებულა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განასხვავებები.

დიაგრამა#1.4

დიაგრამა#1.5



როგორც კვლევამ აჩვენა, რომ სსო–ები ძირითადად ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე (საქართველოს ფარგლებში) საქმიანობენ (შემთხვევათა დაახლოებით 80%); მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი აქვს, აგრეთვე, ეროვნულ დონეს (შემთხვევათა დაახლოებით 66%), ხოლო ტრანსნაციონალურ/საერთაშორისო დონეზე საქმიანობა ფიქსირდება შემთხვევათა დაახლოებით 35%–ში. 2014 წლის მონაცემებთან შედარებით, ვითარება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა (პროცენტული სხვაობა მერყეობს 2-5%–ის ფარგლებში). გამოკითხულ ორგანიზაციათა ყველაზე დიდი ნაწილი (28.4% - 56 სსო) საკუთარ საქმიანობას ახორციელებს რომელიმე სამ დონეზე, თითქმის მეოთხედი (24.4% - 48 სსო) - რომელიმე ერთ დონეზე.

დიაგრამა#1.6



შენიშვნა: დიაგრამაზე ასახულია დადებითი პასუხები

ცხრილი#1.3

Do you carry out your activities on ... level?

Carry out activities on … level(s)	*Frequency*	*Percent*
0	*2*	*1.0*
1	*48*	*24.4*
2	*33*	*16.8*
3	*56*	*28.4*
Total	*171*	*100.0*

1.2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი სფეროები

კვლევაში გამოიკვეთა სსო-ების საქმიანობის ძირითადი სფეროები:

1. განათლება (13.5%);
2. სამოქალაქო საზოგადოება და საზოგადოებრივი კამპანია (11.5%);
3. ადგილობრივი თემების განვითარება (10.6%)
4. სოციალური მომსახურება (9.8%)

უნდა ითქვას, რომ 2014 წელს ჩატარებულ კვლევაშიც, ანალოგიურად, ეს 4 სფერო გამოიკვეთა; თუმცა, სახეზეა მცირეოდენი განსხვავებები, კერძოდ: 2014 წელს განათლების სფეროს ხვედრითი წილი დაახლოებით 6%-ით მაღალი იყო (19.1%), სოციალური მომსახურების სფერო კი უსწრებდა ადგილობრივი თემების განვითარების სფეროს. მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირებულა თბილისისა და აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ჭრილებში, თუ არ ჩავთვლით დასავლეთ საქართველოში „ეფექტური მართველობის“ და „აივ/შიდსის საინფორმაციო ცენტრის“, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში ახალგაზრდების და კულტურის საკითხებზე მუშაობის შედარებით მაღალ ხვედრით წილს.

დიაგრამა#1.7



დიაგრამა#1.8



ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ სსო-თა დიდმა უმრავლესობა (84.4% – 144 სსო) პარალელურად 3 ძირითად სფეროში საქმიანობს.

ცხრილი#1.4

What are the three main activity areas of your organization?

How many activity areas…	Frequency	Percent
1	5	2.9
2	22	12.9
3	144	84.2
Total	171	100.0

1.3. სსო-ების ფილიალები და სამიზნე ჯგუფები

მონაცემების მიხედვით, სსო-თა 66%-ს (130 სსო) არ აქვს ფილიალი სხვა რეგიონებში/ქალაქებში. 1-2 ფილიალი დაფიქსირდა სსო-თა 15.7%-თან (31 სსო), 3-5 ფილიალის არსებობაზე კი სსო–თა მოლოდ 9.1% მიუთითებს (18 სსო). ფილიალების არქონაზე თბილისში სსო-თა თითქმის 65% მიუთითებს (114 სსო-დან 74), დასავლეთ საქართველოში - 71.1% (38 სსო-დან 27), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - 64.4% (45 სსო-დან 29).

დიაგრამა#1.9



N = 197

დიაგრამა#1.10



რაც შეეხება სსო-ების საოფისე ფართს: როგორც კვლევის მონაცეები აჩვენებს, სსო-თა **ცენტრალური ოფისების ფართის საშუალო მაჩვენებელი (MEAN) შეადგენს 192 კვადრატულ მეტრს.** რესპონდენტთა იდენტური რაოდენობა (17.3% - 34–34 სსო) აღნიშნავს, რომ მათი ორგანიზაციის სათაო ოფისებს 51-100, ან 101 – 150 კვ.მ. უჭირავს. ოდნავ ნაკლები ხვედრითი წილი (16.2% - 32 სსო) აქვთ მცირე საოფისე ფართის (51 კვ.მ-ზე ნაკლები) მქონე ორგანიზაციებს. 13.7% (27 სსო) ფლობს 151-250 კვ.მ ფართს, ხოლო სოლიდური საოფისე ფართი (250-500 კვ.მ ან 500კვ.მ-ზე მეტი) საქართველოს მასშტაბით უკავია სსო–თა დაახლოებით 19%–ს (37 სსო). საქართველოს მხარეების ჭრილში გამოვლინდა შემდეგი სახის განსხვავეები:

- ✓ თბილისში სსო-ების საშუალო სოფისე ფართი (MEAN) ყველაზე მეტია – 236 კვ.მ.; 500 კვ.მ-ზე მეტი ფართის მქონე სათაო ოფისი ძირითადად სწორედ თბილისში არსებულ სსო-ებს აქვთ - 13 სსო (11.4%).
- ✓ აღმოსავლეთ საქართველოში სსო–ების საშუალო საოფისე ფართი ყვლაზე ნაკლებია – 107 კვ.მ.; შესაბამისად, ამ მხარეში შედარებით მეტია (26.7%) ისეთი სსო–ები, რომელთაც მცირე ფართის (51 კვ.მ.-ზე ნაკლები) სათაო ოფისები უკავია;
- ✓ დასავლეთ საქართველოში სსო-ების საშუალო სოფისე ფართია (MEAN) 152 კვ.მ.

დიაგრამა #1.11



N = 197

დიაგრამა #1.12



ცხრილი #1.5

How large is your central office?	Mean	Median	Mode	Maximum	Minimum
Tbilisi	236	150	100	2202	0
West Georgia	152	127.5	30	500	12
East Georgia	107	80	150	480	0
Total	*192*	*125*	*150*	*2202*	*0*

გამოკითხულ სსო-თა ნახევარზე მეტი (53.8%) ოფისს ქირაობს. საკუთრებაში ოფისი აქვს სსო-თა დაახლოებით მესამედს (32%). ოფისის ქირავნობის მაჩვენებელი თბილისში გაცილებით დაბალია, ვიდრე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში; კერძოდ, თბილისში დაახლოებით 45% ქირაობს ოფისს, ხოლო საკუთრებაში აქვს 38.6%-ს; დასავლეთ საქართველოში 71.1% ქირაობს ოფისს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - 60%.

დიაგრამა #1.13



დიაგრამა #1.14



მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში მოქმედი სსო-ები ძირითადად კონცენტრირებულნი არიან შემდეგ სამიზნე ჯგუფებზე (ბენეფიციარებზე):

- ✓ დაახლოებით თანაბარი ხვედრითი წილი აქვს საზოგადოებას/მთლიან მოსახლეობას (18.7%) და ახალგაზრდობას (17.7%)
- ✓ სსო-ების 13.1% -ის ბენეფიციარები ქალებია;
- ✓ სსო-ების 11.1% -ის სამიზნე ჯგუფი – ბავშვები;

2014 წლის კვლევის მონაცემებში არსებული ტენდენციები პრაქტიკულად არ განსხვავდება 2015 წლის მონაცემებისაგან.

დიაგრამა #1.15



1.4. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობა/სტრატეგიები და მიზნის მისაღწევად გამოყენებული ინსტრუმენტები

სსო-ების წარმომადგენლებს უნდა განესაზღვრათ, თუ რამდენად შეესაბამება მათი ორგანიზაციის საქმიანობა ქვემოთ ჩამოთვლილ 4 სტრატეგიას:

- ✓ ორგანიზაციის ბენეფიციარების საჭიროებები/მოთხოვნები;
- ✓ საქართველოს განვითარების სტრატეგიები;
- ✓ დონორის/სპონსორის პრიორიტეტები;
- ✓ ორგანიზაციის განვითარების სტრატეგია.

როგორც აღმოჩნდა, კვლევაში მონაწილე ორგანიზაციებს პრაქტიკულად ყველა ჩამოთვლილი სტრატეგია შეესაბამება (სრულად ან მეტ-ნაკლებად სრულად). მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა სსო-ების საქმიანობის ორი სტრატეგია: ა) ორგანიზაციის ბენეფიციარების საჭიროებები/მოთხოვნები (Mean 3.85) - მხოლოდ 1 რესპონდენტია ისეთი, ვინც აღნიშნული სტრატეგიის მის ორგანიზაციასთან შეუსაბამობა დაასახელა; ბ) ორგანიზაციის განვითარების სტრატეგია (Mean 3.72) - ამ სტრატეგიასთან შეუსაბამობის შესახებ მიუთითა მხოლოდ 2-მა რესპონდენტმა. იგივე ტენდენცია შეინიშნებოდა 2014 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემებში (თუმცა 2015 წელს საშუალო მაჩვენებლები ოდნავ გაზრდილია)

დიაგრამა #1.16



დიაგრამა #1.17



შენიშვნა: მონაცემები დიაგრამებზე დათვლილია 4-ბალიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „არ შეესაბამება“ ხოლო ციფრი „4“- „სრულად შეესაბამება“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „2.5“. მონაცემები „2.5“-ზე ზევით შეესაბამება დადებითი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „2.5“-ზე ქვევით - უარყოფითი შეფასების ველს.

აღნიშნულ მონაცემებს ამყარებს რესპონდენტთა მიერ მათი ორგანიზაციის საქმიანობის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრტეგიის არჩევანი: ამ შემთხვევაშიც ცალსახად გამოიკვეთა ორგანიზაციის ბენეფიციარების მოთხოვნები/საჭიროებები (61.9%); დაახლოებით მსგავსი ტენდენცია შეინიშნებოდა 2014 წელს. თბილისის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მიხედვით ჭრილების მონაცემები თითქმის იდეტურია ძირითადი მონაცემების.

დიაგრამა #1.18



კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინსტრუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. მათ უნდა შეეფასებინათ აღნიშნულ ინსტრუმენტებს მათი ორგანიზაცია იყენებს რეგულარულად, ზოგჯერ თუ საერთოდ არ იყენებს:

1. პრობლემის ანალიზი, ანალიტიკური დოკუმენტების, კვლევების, ანგარიშების შედგენა
2. ინფორმაციის გავრცელება
3. მოქალაქეთა განათლება (ტრენინგების, კამპანიების და ა.შ. მეშვეობით)
4. საზოგადოებრივი კამპანიები და ღონისძიებები/ქმედებები
5. პოლიტიკის შემუშავება (policy dialogue)
   a) საწყის ეტაპზე
   b) პოლიტიკის განვითარების ეტაპზე
   c) პოლიტიკის განხორციელების ეტაპზე
   d) პოლიტიკის შეფასებისა და მონიტორინგის ეტაპზე
   e) პარტნიორობის ჩამოყალიბება
   f) მრგვალი მაგიდის ორგანიზება
   g) სამუშაო ჯგუფების შექმნა
   h) რიგგარეშე შეხვედრები
6. მომსახურების მიწოდება

უნდა აღინიშნოს, რომ:

ა) ყველაზე ხშირად გამოყენებული ინსტრუმენტები (იგულისხმება ის ინსტრუმენტები, რომელთა რეგულარულად გამოყენების მაჩვენებელი ≥ 70%-ის) აღმოჩნდა შემდეგი სამი: 1. ინფორმაციის გავრცელება (79.2%); 2. პრობლემის ანალიზი, ანალიტიკური დოკუმენტების, კვლევების, ანგარიშების შედგენა (70.1%); და 3. მოქალაქეთა განათლება (ტრენინგების, კამპანიების და ა.შ. მეშვეობით (69.5%)).

ბ) საშუალო სიხშირით გამოყენებული ინსტრუმენტები (ე.ი. ინსტრუმენტები, რომელთა რეგულარულად გამოყენების მაჩვენებელი ვარირებს 45-56%-ს შორის) ძირითადად დაკავშირებულია მომსახურების მიწოდებასთან, საზოგადოებრივ კამპანიებთან და პოლიტიკის შემუშავებისთვის მრგვალი მრგვალი მაგიდების, სამუშაო ჯგუფების, რიგგარეშე შეხვედრების ორგანიზებასთან და პარტნიორობის ჩამოყალიბებასთან. და მის ეტაპებთან და საზოგადოებრივ კამპანიებთან.

გ) მეორე მხრივ, სწორედ პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებთან მიმართებაში აღინიშნა ისეთი აქტივობების *გამოუყენებლობის* შედარებით მაღალი მაჩვენებლები (დაახლ. 14-25%), როგორიცაა პოლიტიკის შემუშავება საწყის ეტაპზე, აგრეთვე, პოლიტიკის განვითარებისა და განხორციელების ეტაპებზე.

აღნიშნული შედეგები 2014 წელს ჩატარებული კვლევის ტენდენციებს იმეორებს.

დიაგრამა #1.19



დიაგრამა #1.20



1.5. სსო-ების მიერ გამოყენებული მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც შეუძლიათ სახელმწიფო პროგრამებსა და პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა

სახელმწიფო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოსახდენად რესპონდენტებისთვის შეთავაზებული ცხრა მექანიზმიდან კვლევის შედეგად გამოიყო **სამი შედარებით მნიშვნელოვანი** მექანიზმი; ესენია:

ა) შეხვედრებში, კონფერენციებსა და დებატებში მონაწილეობის მიღება;
ბ) კვლევების ჩატარება, სტრატეგიების, კანონების სამუშაო ვარიანტების შემუშავება;
გ) განსაზღვრულ არეალში ძირითადი პრობლემების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;

ყველაზე პრიორიტეტული აღმოჩნდა ე.ი. **პირველი რიგის** პრიორიტეტებს შორის წამყვან პოზიციაზეა - *შეხვედრებში, კონფერენციებსა და დებატებში მონაწილეობის მიღება (50.8%)*, ასევე შედარებით გამოიკვეთა კვლევების ცათარება, სტრატეგიების, კანონპროექტების შემუშავება, რომელმაც **მეორე რიგის** პრიორიტეტებს შორის პირველ პოზიციაზე გადაინაცვლა (21.3%) დაახლოებით იგივე მაჩვენებლები აქვს განსაზღვრულ არეალში ძირითადი პრობლემების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას (20.7%). რაც შეეხება **მესამე რიგის** პრიორიტეტებს, აქ შედარებით გამოიკვეთა: განსაზღვრულ არეალში ძირითადი პრობლემების შესახებ ინფორმაციის გავრცელება (23.6%); მე-4 და მე-5 რიგის პრიორიტეტებს შორის კი გამოიყო

როგორც ეროვნული, ასევე ადგილობრივი/რეგიონალური კამპანიების წარმოებასთან დაკავშირებული მექანიზმები.

აღნიშნული მონაცემები მსგავსია 2014 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების.

თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში საინტერესოა ერთი შედეგი: დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოსახდენად პირველი რიგის პრიორიტეტებში, ძირითადი მონაცემებისაგან განსხვავებით, საერთოდ არ მოექცა კვლევების, სტრატეგიების, კანონების შემუშავება და სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად ეროვნული კამპანიის წარმოება; თუმცა ეს უკანასკნელი წამყვან პოზიციაზეა მეორე რიგის პრიორიტეტებს შორის;

დიაგრამა #1.20



დიაგრამა #1.21



დიაგრამა #1.22



1.6. სსო-ების თანაშრომლობა სხვადასხვა ინსტიტუტებთან

კვლევამ აჩვენა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მეტ-ნაკლებად ინტენსიური თანამშრომლობა აქვთ ყველა სხვა ინსტიტუტთან, ეკონომიკური აგენტების გარდა.

თუმცა, ამ მხრივ გამორჩეულია **არასახელისუფლო აქტორები:** საქართველოში არსებული სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (Mean 8.5) და საერთაშორისო ორგანიზაციები (Mean = 7.9-ს 10 ქულიან სკალაზე). შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს, აგრეთვე, მედიასთან თანამშრომლობას (Mean 7.1-ს 10 ქულიან სკალაზე). თანამშრომლობის ხარისხი იკლებს (თუმცა, კვლავ დადებითი შეფასების ველში ხვდება) როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ სახელმწიფო ადმინისტრაციასთან. ანალოგიური სურათი დაფიქსირდა 2014 წელს ჩატარებულ კვლევაში, უმნიშვნელოდ განსხვავებული საშუალო მაჩვენებლებით.

ორი განსხვავება გამოვლინდა (საერთო მონაცემებთან შედარებით) შედგების ანალიზისას თბილისის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ჭრილებში: ა) დასავლეთ საქართველოში ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა მოექცა უარყოფითი შეფასების ველში (Mean = 5-ს, 10 ქულიან სკალაზე), ბ) აღმოსავლეთ საქართველოში - ასევე უარყოფით ველში მოექცა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ სხვა სსო-ებთან ურთიერთობა (Mean = 4.89-ს, 10 ქულიან სკალაზე).

დიაგრამა #1.23



where 10 corresponds to "close cooperation" and 1 to "no cooperation". 5.5 is the neutral point on the scale. Scores above 5.5 correspond to high ratings, whereas the scores below.5.5 correspond to low ratings.

დიაგრამა #1.24



where 10 corresponds to "close cooperation" and 1 to "no cooperation". 5.5 is the neutral point on the scale. Scores above 5.5 correspond to high ratings, whereas the scores below.5.5 correspond to low ratings.

დიაგრამა #1.25



where 10 corresponds to "close cooperation" and 1 to "no cooperation". 5.5 is the neutral point on the scale. Scores above 5.5 correspond to high ratings, whereas the scores below.5.5 correspond to low ratings.

1.7. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ადამიანური რესურსები და მათი დინამიკა

საერთო მონაცემების მიხედვით, სსო-ების ადამიანურ რესურსებთან მიმართებაში იკვეთება ზრდის ან „status quo" -ს შენარჩუნების ტენდენცია. შედარებით გამოიკვეთა გრძელვადიანი კონტრაქტით დაქირავებული თანამშომლების (44.7%) და მოხალისეების (40.1%) რაოდენობის ზრდა. დაახლოებით მესამედი მიუთითებს მოკლევადიანი კონტრაქტით დაქირავებული თანამშრომლების რაოდენობის ზრდაზე. იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი ვინც მიუთითა, რომ ადამიანური რესურსები ორგანიზაციაში „იგივე დარჩა" ყველა პუნქტთან მიმართებაში ვარირებს 23-35%-ის ფარგლებში. თბილისის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ჭრილში დაფიქსირდა ანალოგიური ტენდენციები.

დიაგრამა #1.26



სსო-ების ადამიანური რესურსების დინამიკა 2012 – 14 წლებში, გამოკითხვის მონაცემების მიხედვით, **მეტ-ნაკლებად მზარდია.** ეს განსაკუთრებით ეხება წევრობაზე დაფუძნებულ ასოციაციებს, რომლებიც საკუთარი წევრების ზრდის ყველაზე მაღალ ტენდენციას აჩვენებს, სხვა ტიპის თანამშრომლების დინამიკასთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვა პოზიტიურ ცვლილებას (ანუ, ზრდას) აჩვენებს მოხალისეებთან მიმართებაშიც.

თბილისის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ჭრილებში არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი განსხვავებები.

დიაგრამა #1.27



2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ანგარიშვალდებულება

შეჯამება

კვლევა მიუთითებს იმ ზოგად პრაქტიკაზე, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სტრუქტურაში არსებობს მმართველობითი რგოლები, რომელთა წინაშე ორგანიზაციები ანგარიშვალდებულნი არიან (დამფუძნებლები, აღმასრულებელი საბჭო (ე.წ. „ბორდი"), სამეთვალყურეო საბჭო და კავშირის/ასოციაციის წევრები).ყველაზე გავრცელებული სტრუქტურებია დამფუძნებლები (ჰყავს სსო–თა თითქმის 96%–ს) და აღმასრულებელი საბჭო (ჰყავს 74.1%–ს).

სსო–თა მმართელობითი სტრუქტურები ნომინალური ორგანიზაციული უჯრედები არ არიან, არამედ ჩართულნი არიან ორგანიზაციის საქმიანობათა დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის ეტაპებზე. რაც მნიშვნელოვანია, ეს ჩართვა სწორი აქცენტებით ხორციელდება (მაგ., დამფუქნებლები ნაკლებად ჩართულნი არიან სსო–თა საქმიანობაში, ვიდრე აღმასრულებელი საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო აქტიურია ორგანიზაციის საქმიანობის მონიტორინგის ეტაპზე და სხვ,).

სსო–თა ანგარიშვალდებულობის ნაკლებობაზე მიუთითებს ის, რომ მათი დიდი ნაწილი საერთოდ არ იყენებს არც შიდა (46.7%) და არც გარე (32.5%) აუდიტის მომსახურებას. შიდა აუდტის მომსახურებას სასურველი რეჟიმით (ანუ, ყოველწლიურად) მიმართავს სსო–თა 34%, ხოლო გარე აუდიტის ყოველწლიური გამოყენების მაჩვენებელი დაახლოებით 40%–ია.

როგორც წესი, ანგარიშვალდებულების შეფასება ხდება რამდენიმე კრიტერიუმით, რომელთაგან ერთ-ერთია ორგანიზაციის მმართველობითი სტრუქტურების მიერ ქმედების დაგეგმვის, შესრულების და მონიტორინგის წარმართვის რესურსების ფლობა. ეს დაკავშირებულია ორგანიზაციებში შემდეგი მმართველობითი სტრუქტურების არსებობასთან: დამფუძნებლები, აღმასრულებელი საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო, კავშირის/ასოციაციის წევრები.

კვლევის შედეგების მიხედვით, დამფუძნებლები ორგანიზაციების აბსოლუტურ უმრავლესობას (თითქმის 96%) ჰყავს, ხოლო, გამოკვეთილ უმრავლესობას (74.1%) – აღმასრულებელი საბჭო. კვლევაში მონაწილე ორგანიზაციათა მხოლოდ ნახევარს ჰყავს კავშირის/ასოციაციის წევრები (49.7%). რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს/კომიტეტს, მმართველობის ეს სტრუქტურა არ გააჩნია ორგანიზაციათა გამოკვეთილ უმრავლესობას (თითქმის 71%-ს).[9]

[9]უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული მმართველობითი სტრუქტურების (დამფუძნებლები, აღმასრულებელი საბჭო და ა.შ.) არსებობა არ მიეყენება ორგანიზაციათა საშუალოდ 5%-ზე ნაკლებს, ესაა

დიაგრამა #2.1



N = 197

გამოკითხვა აჩვენებს, რომ სსო–თა მმართველობითი სტრუქტურები, როგორც წესი, მონაწილეობენ ორგანიზაციათა საქმიანობის ყველა – დაგეგმვის, განხორციელების და მონიტორინგის – ეტაპზე (იგულისხმება ის ორგანიზაციები, რომლებსაც ესა თუ ის მმართველობითი სტრუქტურა გააჩნია). ამასთან, მმართველობითი სტრუქტურების მონაწილეობას აქვს სწორი აქცენტები; მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭო უფრო აქტიურად ჩართულია ორგანიზაციის საქმიანობის მონიტორინგის და არა განხორციელების ეტაპზე, დამფუძნებლების როლი სამივე ეტაპზე ნაკლებად ძლიერია, აღმასრულებელ საბჭოსთან შედარებით და ა.შ.

არაფორმალური, ე.წ. ad hoc ორგანიზაციები, რომელთა ანგარიშვალდებულება ვერ გაიზომება ორგანიზაციაში ფორმალური მმართველობითი სტრუქტურების არსებობით და ფუნქციონირებით.

დიაგრამა #2.2



მმართველობითი სტრუქტურების გარდა, ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია **აუდიტის მომსახურება.** მიზანშეწონილია, რომ სსო–ებმა როგორც შიდა, ისე გარე აუდიტის მომსახურებას მიმართონ ყოველწლიურად.

გამოკითხვა აჩვენებს, სსო–თა დაახლოებით მესამედი იყენებს შიდა (34%) აუდიტს ყოველწლიურად, ხოლო გარე აუდიტს – დაახლოებით 40%. სსო–თა მცირე რაოდენობა (ჯამში 12.3%) 2-3 წელიწადში ერთხელ ან უფრო იშვიათად მიმართავს შიდა აუდიტს, ხოლო დაახლოებით მეოთხედი – გარე აუდიტს (იმავე სიხშირით).

სსო–თა დიდი ნაწილი საერთოდ არ იყენებს აუდიტის მომსახურებას. ეს განსაკუთრებით ეხება შიდა აუდიტს (არ იყენებს 46.7%), თუმცა ორგანიზაციათა მესამედს (32.5%) არც გარე აუდიტის მომსახურება გამოუყენებია ოდესმე.

დიაგრამა # 2.3


How often does your organization undego the audit service?
50.0%
45.0%
40.0%
35.0%
30.0%
25.0%
20.0%
15.0%
10.0%
5.0%
0.0%
34.0%
38.6%
4.6%
9.1%
4.1%
7.6%
3.6%
8.1%
46.7%
32.5%
7.1%
4.1%
Annually
Once in 2 years
Once in 3 years
Less ofthen then once in 3 years
Never
Do not know/not aware
Internal audit service
External audit service
N = 197

3. სსო-ების ფინანსური მდგომარეობა

შეჯამება

სსო–თა დიდი უმრავლესობისთვის (80%–მდე) დაფინანსების ძირითადი წყაროა საერთაშორისო ორგანიზაციები/უცხოელი დონორები; ერთადერთ ანგარიშგასაწევ ალტერნატივად სახელმწიფო ფონდები სახელდება (31% მიუთითებს როგორც დაფინანსების მეორად წყაროზე). დაფინანსების ალტერნატიული წყაროების წილი სამოქალაქო სექტორში დაბალია. ეს, დაფინანსების წყაროების ნაკლებად დივერსიფიცირებულობაზე მიანიშნებს, რაც სსო–თა ფინანსური მდგრადობისთვის სერიოზული გამოწვევაა.

დაფინანსების წყაროები ძირითადად ლოკალიზებულია საქართველოში (საერთაშორისო ორგანიზაციების ფილიალების სახით); ასევე, ხშირად, ევროპაში და ზოგჯერ - ამერიკაში. სამოქალაქო სექტორს საქართველოში ძალიან იშვიათად აფინანსებენ დონორები აზიიდან, რუსეთიდან და სამხრეთ კავკასიიდან.

სსო–თა პროექტების ფინანსური მოცულობა მეტ–ნაკლებად დივერსიფიცირებულია: ორგანიზაციათა ყველაზე დიდი ნაწილი (39.6%) მუშაობს შერეული (როგორც მცირე, ისე დიდი) მოცულობის პროექტებზე; მნიშვნლოვანია მცირე (20 000 ევრომდე) მოცულობის პროექტებზე მომუშავე ორგანიზაციათა წილიც (27.9%).

სსო–თა წარმომადგენლების უმრავლესობა (56.3%) მიუთითებს საკუთარი ორგანიზაციის მეტ-ნაკლებად სტაბილურ ფინანსურ მდგომარეობაზე. თუმცა, შეფასებები უარყოფით არხში ინაცვლებს მაშინ, როდესაც რესპონდენტები ზოგადად სამოქალაქო სექტორის ფინანსურ სტაბილურობაზე მსჯელობენ (შეფასებებს „ცუდი“ ან „ძალიან ცუდი“ რესპონდენტთა 70%–ზე მეტი გამოთქვამს).

ფინანსური სტაბილურობის ხელისშემშლელ ძირითად მიზეზებად რესპონდენტებმა, როგორც საკუთარი ორგანიზაციისთვის, ისე, ზოგადად, სამოქალაქო სექტორისთვის დაასახელეს ორი: ა) ორგანიზაციის საქმიანობის პროფილის მიმართ დონორების დაბალი ინტერესი და ბ) ე.წ. „ელიტური ორგანიზაციების“ მონოპოლია სამოქალაქო საზოგადოების სივრცეში.

სსო–თა შეფასებებში იკვეთება ფინანსური მდგომარეობის ზრდის ტენდენცია: 2012 წლიდან მოყოლებული, სსო–თა უმეტეს ნაწილს (43.7%), მათივე შეფასებით, ფინანსური მდგომარეობა გაუუმჯობესდა; რესპონდენტთა მესამედი (33%) ფინანსური მდგომარეობის უცვლელობაზე მიუთითებს; მხოლოდ მეხუთედი აღნიშნავს ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას. ამას ადასტურებს სსო–თა წლიური ბრუნვის პოზიტიური დინამიკა ბოლო სამი წლის განმავლობაში (2012–14 წლები).

სსო–თა შეფასებები სამოქალაქო სექტორის დაფინანსების შესახებ არსებული კანონმდებლობის მიმართ უფრო მეტად მიდრეკილია უარყოფითისკენ (ყოველი მეორე კანონმდებლობას აფასებს როგორც „ცუდს“ ან „ძალიან ცუდს“). კანონმდებლობის გაუმჯობესება, რესპონდენტთა აზრით, უნდა მოხდეს სპონსორობის შესახებ რეგულაციების გაუმჯობესებით ან ხელისუფლების (ცენტალური/ადგილობრივი) წახალისების მიმართულებით სამოქალაქო სექტორის პროექტების თანადაფინანსებისთვის.

არაერთგვაროვანია სსო–თა დამოკიდებულება სამოქალაქო სექტორის მიმართ არსებული საგადასახადო პოლიტიკის შეფასებისას. უმეტესად, ვლინდება ნეიტრალური განწყობა; სსოთა უმრავლესობა (59.8%) საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციის მომხრეა, რომელიც სამოქალაქო სექტორისთვის გადასახადების (საშემოსავლო, მოგების და სხვ.) შემცირებას გულისხმობს.

3.1. დაფინანსების ძირითადი და ალტერნატიული წყაროები

სსო–ების დიდი უმრავლესობისთვის (თითქმის 80%), 2012 წლიდან მოყოლებული, დაფინანსების ძირითადი (პირველადი) წყარო არის საერთაშორისო ორგანიზაციები/უცხოელი დონორები. სახელმწიფო ფონდებს, როგორც დაფინანსების ძირითად წყაროს, ორგანიზაციათა მხოლოდ 2.3% ასახელებს, თუმცა, სახელმწიფო ფონდები, ორგანიზაციათა დაახლოებით მესამედისთვის (31%), დაფინანსების მეორადი (ანუ, ალტერნატიული) წყაროა. დაფინანსების სხვა პირველად წყაროებად დაასახელდა: საწევრო ჰონორარი, დონაცია, მომსახურების/პროდუქციის მიწოდება, თვითდაფინანსებადა სხვა., თუმცა, ჩამოთვლილი წყაროების დასახელების სიხშირე მცირეა ან როგორც პირველადი (3-7%–ის ფარგლებში) და ან როგორც დამატებითი წყაროსი (3-15%-ის ფარგლებში). აღსანიშნავია, რომ სსო–თა დაახლოებით ნახევარს უჭირს დაფინანსების მესამე წყაროს დასახელება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ **დაფინანსების ალტერნატიული წყაროების წილი სამოქალაქო სექტორში დაბალია. ეს, თავის მხრივ, დაფინანსების წყაროების ნაკლებად დივერსიფიცირებულობაზე მიანიშნებს, რაც სსო–თა ფინანსური მდგრადობისთვის სერიოზული გამოწვევაა.**

დიაგრამა # 3.1



დაფინანსების ძირითადი წყაროების თვალსაზრისით არსებული ტენდენციები 2014 წლის ვითარების ანალოგიურია. რაც შეეხება რეგიონულ განსხვავებებს, ტენდენციები ამ შემთხვევაშიც მსგავსია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ, რეგიონებთან შედარებით, თბილისში უფრო დივერსიფიცირებულია დაფინანსების წყაროები სსო–თვის.

დიაგრამა #3.2



3.2. პროექტების ფინანსური მოცულობა

სსო–თა პროექტების ფინანსური მოცულობა მეტ–ნაკლებად დივერსიფიცირებულია: ორგანიზაციათა ყველაზე დიდი ნაწილი (39.6%) მუშაობს შერეული მოცულობის პროექტებზე; მნიშვნლოვანია მცირე (20 000 ევრომდე) მოცულობის პროექტებზე მომუშავე ორგანიზაციათა წილიც (27.9%). სსო–თა შედარებით მცირე ნაწილი (9.1%) მუშაობს საშუალო მოცულობის პროექტებზე (21 000-დან 50 000 ევრომდე), ასევე – დიდი მოცულობის პროექტებზე (50 000 ევრო და მეტი) (14.2%).

დიაგრამა #3.3



3.3. დაფინანსების წყაროების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია

რაც შეეხება დაფინანსების წყაროების **გეოგრაფიულ/ტერიტორიულ დივერსიფიკაციას,** სსო–თა გამოკვეთილი უმრავლესობისთვის (61.4%) დაფინანსების წყაროები ძირითადად საქართველოშია ლოკალიზებული (იგულისხმება სახელმწიფო ფონდები, საერთაშორისო ორგანიზაციების ფილიალები და სხვ.); ამასთან, სსო–თა მეხუთედისთვის (19.8%) საქართველოში ლოკალიზებული დაფინანსების წყაროები ალტერნატიულია (ანუ, ზოგჯერ გამოიყენება); რესპონდენტთა მხოლოდ 14.2% აღნიშნავს, რომ მათი დაფინანსების წყაროები არასოდესაა ლოკალიზებული საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ სსო-ები თითქმის არასოდეს სარგებლობენ სამხრეთ კავკასიაში (88.3%), რუსეთში (93.9%) და აზიაში (86.8%) ლოკალიზებული დაფინანსების წყაროებით. ორგანიზაცია საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (ნახევარი და მეტი) ძირითადად ან ზოგჯერ სარგებლობს ევროპაში (58.9%) და ამერიკაში (50.1%) ლოკალიზებული დაფინანსების წყაროებით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ **სსო–თა დაფინანსების წყაროები საკმაოდ დიფერენცირებულია გეოგრაფიულად და უმეტესად თავმოყრილია საქართველოში, ევროპასა და ამერიკაში.**

დიაგრამა #3.4



3.4. სსო–თა ფინანსური მდგომარეობა

კვლევის ფარგლებში მოხდა იმის დადგენა, თუ როგორია სსო–ების საშუალო წლიური ბრუნვა. სსო-ების წარმომადგენელთა 28.%-მა აღნიშნა, რომ არ აქვთ ინფორმაცია ამის შესახებ, 5.1%-მა კი - თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან. დანარჩენი პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

ცხრილი#3.1

	წლიური ბრუნვა ლარებში	(%)
1.	≤ 10 000	10.7 %
2.	> 1000 & ≤ 50 000	7.1 %
3.	>50 000 & ≤ 100 000	9.1 %
4.	> 100 000 ≤ 200 000	7.6%
5.	> 200 000 ≤ 500 000	14.7%
6.	> 500 000 ≤ 1 000 000	6.1%
7.	> 1 000 000	5.1%

ამრიგად, წლიური ბრუნვის მხრივ ორგანიზაციები საკმაოდ დივერსიფიცირებულია და არ იკვეთება რაიმე ტენდენცია. ორგანიზაციათა უფრო დიდი ნაწილის (დახლოებით მეოთხედის) წლიური ბრუნვა მერყეობს 100 000– 500 000 ლარს შორისა. თუ ამ მონაცემებს **დროის დინამიკაში**

განვიხილავთ, ვნახავთ, წლიური ბრუნვების დინამიკა 2014 წელს გაზრდილია 2013 და 2012 წელთან შედარებით (იხ. დიაგრამები ##3.5;3.6):

დიაგრამა #3.5



დიაგრამა #3.6[10]



N = 197

რაც შეეხება სსო–თა **ფინანსური მდგომარეობის** შეფასებას, ორგანიზაციათა უმეტესი ნაწილისთვის (38.1%), 2012 წლიდან მოყოლებული, ფინანსური მდგომარეობა მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდა; ფინანსური მდგომარეობის უცვლელობაზე მიუთითებს სსო–თა მესამედი (33.0%). ფინანსური მდგომარეობა ძალიან გაუმჯობესდა სსო–თა 5.6%-თვის; ფინანსური მდგომარეობის გაუარესებაზე ჯამში მიუთითებს სსო–თა დაახლოებით მეხუთედი („მეტ–ნაკლებად გაუარესდა" – 13.2%; „ძალიან გაუარესდა" – 6.1%). ამრიგად, შეფასებებში იკვეთება ფინანსური მდგომარეობის ზრდის ტენდენცია, თუმცა, როგორც ვნახეთ, ეს არ ასახულა წლიური ბრუნვების 3 წლიან დინამიკაში.

[10] 2014 – 13 და 2014 - 12 წლების შედარებები მოხდა თითოეული სსო–ს მიერ დასახელებული წლიური ბრუნვების სხვაობების დადგენით: თუ 2014 წლის ბრუნვა მეტი აღმოჩნდა წინა რომელიმე წლის (2012 ან 2013) ბრუნვაზე ე.ი. ბრუნვა გაიზარდა; თუ 2014 წლის ბრუნვა ნაკლები იყო 2013 ან 2012 წლის ბრუნვაზე ე.ი. ბრუნვამ მოიკლო და თუ სხვაობა ბრუნვებს შორის იყო 0, ე.ი. ბრუნვა არ შეცვლილა.

დიაგრამა #3.7



3.5. სსო–თა ფინანსური მდგრადობის შეფასება

გამოკითხვა აჩვენებს, რომ სსო–თა წარმომადგენლების მოსაზრებები დიამეტრალურად განსხვავდება მაშინ, როდესაც ისინი, ერთი მხრივ, საკუთარო ორგანიზაციის და, მეორე მხრივ, ზოგადად, საქართველოში სსო–თა ფინანსურ მდგრადობას აფასებენ: სსო–თა წარმომადგენლების გამოკვეთილი უმრავლესობა საქართველოს სამოქალაქო სექტორის ფინანსურ მდგრადობას ნეგატიურად აფასებს („ცუდი“ – 60.9%, „ძალიან ცუდი“ – 10.2%). შედარებით მცირეა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვინც პოზიტიურ შეფასებებს გამოთქვამს („კარგი“ – 17.8%, „ძალიან კარგი“ – 0.5%).

დიაგრამა #3.8



N = 197

რაც შეეხება საკუთარი ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის შეფასებას, უმრავლესობა (56.3%) აღნიშნავს, რომ მათი ორგანიზაცია ფინანსურად მეტ-ნაკლებად მდგრადია, ხოლო დამატებით 10.2% მიუთითებს, რომ „ძალიან მდგრადია“. საკუთარი ორგანიზაციის ფინანსურ არამდგრადობაზე რესპონდენტთა 30% მიუთითებს („მეტ-ნაკლებად არამდგრადი“ - 17.8%, „ძალიან არამდგრადი“ - 12.2%).

დიაგრამა #3.9



რესპონდენტებმა შეაფასეს ფაქტორები, რომლებიც, მათი აზრით, **ყველაზე მეტად ახდენს გავლენას ორგანიზაციების ფინანსურ სტაბილურობაზე** საქართველოში. შედარებით გამოიკვეთა ორი ფაქტორი, თანაბარი ხვედრითი წილით (22.6%):

- ორგანიზაციის საქმიანობის პროფილის მიმართ დონორების დაბალი ინტერესი
- ე.წ. „ელიტური ორგანიზაციების“ მონოპოლია სამოქალაქო საზოგადოების სივრცეში

რესპონდენტთა ნიშვნელოვანი ნაწილი (17.3%) მიუთითებს, აგრეთვე, ფინანსური მდგრადობის ისეთ ბარიერზე, როგორიცაა კონკურენტული საპროექტო წინადადებების წარდგენის არასაკმარისი უნარ-ჩვევები სამოქალაქო სექტორში.

დიაგრამა #3.10



შეკითხვაზე, თუ ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან რომელი მათგანი ახდენს ყველაზე მეტად უარყოფით გავლენას **უშუალოდ მათი ორგანიზაციების ფინანსურ მდგრადობაზე**[11], რესპონდენტთა დიდ ნაწილს (28.9%) გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მნიშვნელოვანმა ნაწილმა (27.9%) დაასახელა დონორების მხრიდან ინტერესის ნაკლებობა ორგანიზაციის საქმიანობის მიმართ, ხოლო შედარებით მცირე ნაწილმა - „ელიტური ორგანიზაციების" მონოპოლია სამოქალაქო საზოგადოების სივრცეში (16.2%). დანარჩენ შემთხვევებში (1-5%) დასახელდა შემდეგი ფაქტორები: დისკრიმინაციული საგადასახადო პოლიტიკა, კონკურენტუნარიანი საპროექტო წინანდადებების წარდგენის არასაკმარისი უნარ-ჩვევები, არარაციონალური მენეჯმენტი, სსო-ების არაეფექტური საქმიანობა, დონორების მოძებნის სირთულე, მცირე ინტერესი უმცირესობების მიმართ და სხვა.

[11] რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ ფინანსური მდგრადობის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხელის შემშლილი ფაქტორი მათი ორგანიზაციისთვის.

3.6. სსო–თა დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის და სსო–თა მიმართ საგადასახადო პოლიტიკის შეფასება

რესპონდენტებმა შეაფასეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაფინანსების შესახებ არსებული კანონმდებლობა. დამოკიდებულება უმეტესად უარყოფითია („ცუდი“ – 35%, „პრაქტიკულად, არ არსებობს“ - 15.2%). თუმცა, მნიშნელოვანი ნაწილი (სსო–თა მესამედი) კანონმდებლობას აფასებს როგორც კარგს. პრაქტიკულად უმნიშვნელოა იმ გამოკითხულთა რაოდენობა (0.5%), რომლებიც კანონმდებლობას აფასებენ, როგორც ძალიან კარგს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ საკითხში გათვითცნობიერებული არ არის გამოკითხულთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 17%).

დიაგრამა #3.11



გამოკითხული რესპონდენტების თითქმის თანაბარი რაოდენობა თვლის, რომ სსო-ების დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გაუმჯობესება უნდა მოხდეს შემდეგი მიმართულებებით: ა) სპონსორობის შესახებ კანონმდებლობის გაუჯობესება (23.2%), ბ) პროექტების სახელმწიფოს მიერ თანადაფინანსება (23.0%) და გ) დაფინანსება ადგილობრივი/ცენტრალური ხელისუფლებისგან (20.0%). შედარებით მცირე ნაწილს უფრო პრიორიტეტულად მიაჩნია, რომ კანონმდებლობამ უზრუნველყოს დღგ-ს შემცირება (16.9%) და ეკონომიკური აგენტების გადასახადებისგან გათავისუფლება (11.6%).

დიაგრამა #3.12



რაც შეეხება საქართველოში სსო-ების მიმართ არსებული საგადასახადო პოლიტიკის შეფასებას, აქ წამყვანია ნეიტრალური პოზიცია („არც დადებითად, არც უარყოფითად“ – 37.5%), თუმცა, დამოკდებულებები საკმაოდ არაერთგვაროვანია. გამოკითხულთა დანარჩენი ნაწილი საგადასახადო პოლიტიკას თითქმის თანაბრად აფასებს მეტ-ნაკლებად დადებითად (24.9%) და მეტ-ნაკლებად უარყოფითად (23.9%). ასევე, მცირეა და თითქმის თანაბარია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც საგადასახადო პოლიტიკას აფასებენ ძალიან დადებითად (4.1%) და ძალიან უარყოფითად (5.1%).

დიაგრამა #3.13



სსო-ების წარმომადგენლების უმრავლესობა (59.8%) საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციის მომხრეა, რომელიც გადასახადების (საშემოსავლო, მოგების და სხვ.) შემცირებას გულისხმობს. შედარებით მცირე ნაწილი (22.8%) მხარს დაუჭერდა დიფერენცირებული წესის შემოღებას, როდესაც გამოცდილ და ფინანსურად გამართულ ორგანიზაციებს გადასახადებს უფრო მაღალი ტარიფით გადაახდევინებენ, ვიდრე დამწყებ და ფინანსურად არამდგრად ორგანიზაციებს. მცირეა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც არაფერს შეცვლიდნენ საგადასახადო პოლიტიკაში (6.3%) ან მხარს დაუჭერნენ საგადასახადო პოლიტიკის გამკაცრებას (2.2%).

დიაგრამა #3.14



4. სსო–თა ურთიერთობა ადგილობრივ/ ცენტრალურ ხელისუფლებასთან

შეჯამება:

გამოკითხვა აჩვენებს სამოქალაქო სექტორსა და ხელისუფლებას (ცენტრალური/ადგილობრივი) შორის ურთიერთობის ამბივალენტური სურათს:

ა) ერთი მხრივ, სსო–თა წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუთითებს, რომ ურთიერთობები პოზიტიურია (განსაკუთრებით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან); ეს გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო სტრუქტურებთან აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს სხვადასხვა საკითხების ირგვლივ, სამოქალაქო სექტორი რჩევებს (კონსულტაციებს) აძლევს ხელისუფლებას, ხდება ერთობლივი პროექტების ინიცირება და ა.შ.;

ბ) მეორე მხრივ, სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობა ხელისუფლებასთან (ორივე დონეზე) ძირითადად კონსულტაციების წარმოებით შემოიფარგლება და ნაკლებად ეხება სსო-ების მიერ ხელისუფლებისთვის სერვისების მიწოდებას, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების განსაზღვრაში აქტიურ მონაწილეობას; აგრეთვე, სუსტია სსო–თა მიერ ინიცირებული პროგრამების ფინანსურ მხარდაჭერა ხელისუფლების მხრიდან და ა.შ. ამავე დროს, რესპონდენტები ხაზს უსვამენ ხელისუფლების მხრიდან უკუკავშირის სისუსტეს, სახელმწიფო მოხელეთა დაბალ კომპეტენციას და დიალოგისთვის მწირ რესურსებს, რაც მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორებია ხელისუფლებასთან წარმატებულ ურთიეთიბაში.

ასეთი ამბივალენტური სურათი მიუთითებს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობა მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე არსებობს და არ შეიძლება ვისაუბროთ დიალოგის და პრაქტიკათა დაახლოების რამდენადმე მდგრად (established) კულტურაზე.

ადგილობრივ/ცენტრალურ ხელისუფლებაზე სსო-ების ზეგავლენასთან მიმართებაში იკვეთება, რომ ზეგავლენა შედარებით ხელშესახებია ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიმართებაში (ძლიერ ზეგავლენაზე მიუთითებს გამოკითხულთა 9.1%, ხოლო საშუალო ზეგავლენაზე – 43.7%); ცენტრალურ ხელისუფლებაზე ძლიერი ზეგავლენის შესახებ საუბრობენ მხოლოდ თბილისში (თუმცა, მაჩვენებელი ამ შემთხვევაშიც მცირეა - დაახლ. 8%; თბილისელ სსო–თა უმრავლესობა მიუთითებს საშუალო (36%) და სუსტი (35.1%)გავლენის შესახებ ცენტრალურ ხელისუფლებაზე).

სსო-ები ადგილობრივ/ცენტრალურ ხელისუფლებასთან ინტენსიურ დიალოგს განიხილავენ ორგანიზაციის ხელისუფლებასთან ურთიერთობაში წარმატების მიღწევის ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტად (სხვა მნიშვნელოვანი მექანიზმებია: სსო-ს წევრების

ჩართულობა ხელისუფლების ინიციატივით შექმნილი სხვადასხვა კომისიების/კომიტეტების საქმიანობაში და ხელისუფლების მიერ სსო-ების იდეების გაზიარება).
აღნიშნული მონაცემები იმეორებს 2014 წელს ჩატარებული კვლევის შედგად გამოვლენილ ტენდენციებს.

ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან სსო-ების წარმომადგენლების ურთიერთობა განსხვავებულია: ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურიერთობას სსო–ები ძირითადად **პოზიტიურად** აფასებენ (გამოკითხულთა 54.3% ადგილობრივ ხელისუფლებასთან „ძალზე კარგი“ და „კარგი“ ურთიერთობის შესახებ მიუთითებს). რაც შეეხება ურთიერთობას ცენტრალურ ხელისუფლებასთან, აქ რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი (41.1%) „საშუალო“ ურთიერთობაზე მიუთითებს, თუმცა, მნიშვნელოვანი რაოდენობა (37.1%) ამ ურთიერთობას დადებითად აფასებს („კარგად“ ან „ძალიან კარგად“). იგივე ტენდეციებია როგორ თბილისში, ასევე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. აღსანიშნავია იმ სსო-თა რაოდენობა, რომლებთაც არ აქვთ ურთიერთობა ადგილობრივ (4.7%, 9 სსო) და ცენტრალურ (12.7%, 25 სსო) ხელისუფლებასთან.

2014 წელს ანალოგიური ტენდენციები შეინიშნებოდა, თუმცა აღსანიშნავია, რამოდენიმე განსხვავება, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მიმათულებით:

- ✓ მიმდინარე წელს დაახლოებით 13%-ით შემცირებულია იმ სსო-თა ხვედრითი წილი, რომლებსაც „ძალზე კარგი“ და „კარგი“ ურთიერთობა აქვთ ცენტრალურ ხელისუფლებასთან (2014 წ. მათი პროცენტული მაჩვენებელი შეადგენდა რესპონდენტთა თითქმის ნახევარს - 49.7%);
- ✓ 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 8-10%-ით გაზრდილია იმ სსო-თა ხვედრითი, წილი, რომლებიც საკუთარ ურთიერთობას როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებასთან აფასებენ როგორც „საშუალო“;
- ✓ 2014 წელს იმ სსო-თა რაოდენობა, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან 16 ერთეულით მეტი იყო, ვიდრე 2015 წელს (25 სსო).

ეს მონაცემები მიუთითებს, რომ **სსო–ების მიერ ცენტრალურ ხელისუფლებასთან მათი ურთიერთობის შეფასება რამდენადმე გაუარესდა წინა წელთან შედარებით, თუმცა, მიუხედავად ამისა, შეინარჩუნა დადებითი მოდუსი.** ამას ადასტურებს ხელისუფლებასთან სამოქალაქო სექტორის ურთიერთობის საშუალო მაჩვენებლებიც (MEAN).

დიაგრამა #4.1



დიაგრამა #4.2



შენიშვნა: მონაცემები დათვლილია 5-ბალიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „ძალზე ცუდი/დაძაბული“ ხოლო ციფრი „5“- „ძალზე კარგი“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „3“. მონაცემები „3“-ზე ზევით შეესაბამება დადებითი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „3“-ზე ქვევით - უარყოფითი შეფასების ველს.

დიაგრამა #4.3



შენიშვნა: მონაცემები დათვლილია 5-ბალიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავს „ძალზე ცუდი/დაძაბული“ ხოლო ციფრი „5“- „ძალზე კარგი“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „3“. მონაცემები „3“-ზე ზევით შეესაბამება დადებითი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „3“-ზე ქვევით - უარყოფითი შეფასების ველს.

როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებებთან სსო-ების ურთიერთობაში ყველაზე მეტად გამოკვეთილია სსო-ების მიერ **კონსულტაციების წარმოება** ხელისუფლებასთან ერთად სხვადასხვა პრობლემების შესახებ (ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიმართებაში ამაზე მიუთითებს სსო–თა 71.1%, ხოლო ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში – 60%–მდე). **კარგი მაჩვენებლები** აქვს, ასევე, ა) ხელისუფლებასთან ერთობლივი პროექტების ინიცირებას (განსაკუთრებით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან – 51.3%), ბ) სსო–თა მიერ ხელისულებისთვის კონსულტაციების გაწევას სტრატეგიის და პოლიტიკის შემუშავების პროცესში (როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლებასთან ამ ტიპის თანამშრომლობაზე მიუთითებს დაახლოებით 44%) და გ) ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სსო–თა მონაწილეობას (ადგილობრივ ხელისუფლებასთან ამ ტიპის თანამშრომლობაზე მიუთითებს სსო–თა დაახლოებით 40%, ხოლო ცენტრალურ ხელისუფლებასთან – 34%).

როგორც ირკვევა, სამოქალაქო სექტორსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის დღის წესრიგის (agenda) შემადგენელი ნაწილი, დღესდღეობით, **ყველაზე ნაკლებად** არის:

a. სსო–ების მონაწილეობა ბიუჯეტის განხილვის პროცესში (ადგილობრივ ხელისუფლებასთან ამ კუთხით თანამშრომლობს 29.4%, ხოლო ეს გამოცდილება გაცილებით მწირია ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში – 9.1%);
b. ხელისუფლების მიერ სსო–თა დაქირავება სხვადასხვა მომსახურების და აქტივობების განხორციელებისათვის (ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში ამაზე მიუთითებს სსო–თა 22%–მდე, ხოლო ადგილობრივ ელისუფლებასთან მიმართებაში – 19.3%);
c. ხელისუფლების მხრიდან სხვადასხვა პროგრამების განხორციელებისათვის ფინანსური მხარდაჭერა სსო–თვის (ცენტრალური ხელისუფლებასთან ამ კუთხით თანამშრომლობაზე მიუთითებს 18.3%, ხოლო ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე – 23.4%).

დიაგრამა #4.4



როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პოზიტიური და ნეგატიური აქცენტები იმეორებს 2014 წელს ჩატარებული კვლევის ტენდენციებს; ვითარება ამ კუთხით ბოლო 1 წლის განმავლობაში პრაქტიკულად უცვლელია.

დიაგრამა #4.5



თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში მონაცემების განილვისას გამოვლინდა შემდეგი სახის განსხვავებები:

- ✓ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად <u>გადაწყვეტილების შემუშავების პროცესში</u> და <u>ბიუჯეტის განხილვაში</u> მონაწილეობას რეგიონებში მოქმედი სსო-ები უფრო იღებენ, ვიდრე თბილისში;
- ✓ რაც შეეხება ურთიერთობებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ყველა ჩამოთვლილი პარამეტრის მიხედვით, თბილისში მოქმედი სსო-ების გამოცდილება მნიშვნელოვნად დატვირთულია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედ სსო-ებთან შედარებით.

დიაგრამა #4.6



დიაგრამა #4.7



კვლევაში მონაწილე სსო-ების წარმომადგენლებს უნდა დაესახელებინათ, თუ რა სახის **დაბრკოლებები** არსებობს ადგილობრივ/ცენტრალურ ხელისუფლებასთან მათი ორგანიზაციის ურთიერთობისას. მონაცემები აჩვენებს, რომ სსო–ებს, დაბრკოლებების შექმნის თვალსაზრისით, „სიმძიმის ცენტრი“ გადააქვთ **ადგილობრივ/ცენტრალურ ხელისუფლებაზე, მათ უნარებსა და ქმედებებზე;** კერძოდ, ძირითად ბარიერებად დასახელებულია: ხელისუფლების წარმომადგენლების კვალიფიკაციის და უნარების ნაკლებობა შესაბამის სფეროებში (18.9%), ხელისუფლებისგან უკუკავშირის მიღების სირთულე (17%) და ადგილობრივი ხელისუფლების სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან დიალოგის წარმოებისათვის საკმარისი რესურსების/პოტენციალის უკმარისობა (15.5%). თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში დაფიქსირდა ანალოგიური ტენდენციები.

რაც შეეხება 2014 წლის მონაცემებთან შედარებას: ძირითადი ტენდენციები ამ შეთხვევაშიც შენარჩუნებულია - პირველ სამ ადგილზე განთავსდა იგივე პრობლემები, რომლებიც 2015 წელს გამოიკვეთა.

დიაგრამა #4.8

What are the main obstacles that arise during your interaction with public administrations?



N = 197

ზემოთ აღნიშნული მონაცემების მიხედვით, სახეზეა, ისევე როგორც 2014 წელს, სამოქალაქო სექტორსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ურთიერთობების **ამბივალენტური** სურათი: ერთი მხრივ, სსო–თა წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუთითებს, რომ ეს ურთიერთობები პოზიტიურია, სახელმწიფო სტრუქტურებთან აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს სხვადასხვა საკითხების ირგვლივ, ხდება ერთობლივი პროექტების ინიცირება და ა.შ.; თუმცა, მეორე მხრივ, რესპონდენტები ხაზს უსვამენ ხელისუფლების მხრიდან უკუკავშირის სისუსტეს, სახელმწიფო მოხელეთა დაბალ კომპეტენციას და დიალოგისთვის მწირ რესურსებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამოქალაქო სექტორის ურთიერთობა როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში ძირითადად კონსულტაციების წარმოებით შემოიფარგლება და ნაკლებად ეხება სსო-ების აქტიურ მონაწილეობას სერვისების მიწოდების პროცესში, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის განსაზღვრაში, აგრეთვე, ხელისუფლება არ აქტიურობს სსო–თა მიერ ინიცირებული პროგრამების ფინანსურ მხარდაჭერის თვალსაზრისით და ა.შ.

აღნიშნული ამბივალენტური სურათი მიუთითებს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობა მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე არსებობს და არ შეიძლება ვისაუბროთ დიალოგის და პრაქტიკათა დაახლოების **რამდენადმე მდგრად (established) კულტურაზე.**

შემდეგი საკითხი, რომელსაც გამოკითხვა არკვევდა, იყო ის, თუ რამდენად **ძლიერი ზეგავლენის მოხდენა** შეუძლია ორგანიზაციას ადგილობრივი/ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე?

ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიმართებაში, ყველაზე გამოკვეთილია **საშუალო დონის** ზეგავლენა (43.7%); რაც შეეხება ცენტრალურ ხელისუფლებას, აქ, რესპონდენტთა უმრავლესობის შეფასებით, სსო-თა ზეგავლენა საშუალო (28.4%) ან სუსტია (29.9%), ხოლო **რესპონდენტთა მეხუთედზე ოდნავ მეტის აზრით, სსო-ები საერთოდ ვერ ახდენენ ვერანაირ ზეგავლენას ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე** (აღნიშნული მაჩვენებელი ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაახლ. 14%-ია). ცენტრალურ ხელისუფლებაზე სსო-თა ძლიერი ზეგავლენის შესახებ გამოკითხულთა მხოლოდ 4.6% მიუთუთებს. თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მონაცემებში იგივე ტენდენციაა. თუმცა, აღსანიშნავია ერთი ნიუანსი: ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში საკუთარი ორგანიზაციის ძლიერ ზეგავლენაზე საუბრობენ მხოლოდ თბილისში (7.9%), ამასთან, თბილისელ სსო–თა უმრავლესობა მიუთითებს საშუალო (36%) და სუსტი (35.1%)გავლენის შესახებ ცენტრალურ ხელისუფლებაზე. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში არ აღმოჩნდა არც ერთი რესპონდენტი, ვინც აღნიშნულ პასუხს დააფიქსირებდა.

დიაგრამა #4.9



იმ ფაქტორებს შორის, რომელებიც განაპირობებს **წარმატებას/შედეგიანობას ხელისუფლებასთან ურთიერთობაში,** პირველ რიგში, რესპონდენტები ასახელებენ ინტენსიურ ურთიერთობას ხელისუფლებასთან (როგორც ადგილობრივთან - 24%, ისე ცენტრალურთან - 19.1%). შედარებით მნიშვნელოვანი ფაქტორებია:

- ✓ სსო-ს წევრების ჩართულობა ხელისუფლების ინიციატივით შექმნილი სხვადასხვა კომისიების/კომიტეტების საქმიანობაში (ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში ამაზე მიუთითებს 16.5%, ხოლო ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიმართებაში - 17.2%);
- ✓ ხელისუფლების მიერ სსო-ების იდეების გაზიარება (ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში ამ ფაქტორს მხარს უჭერს 17.2%, ხოლო ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიმართებაში - 15.8%);

შედარებით, ასევე, გამოიკვეთა:

- ✓ ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიმართებაში - სსო-თა ყოფილი წევრების ხელისუფლებაში დასაქმება - 10.7%;
- ✓ ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში - ხელისუფლებასთან უშედეგო ურთიერთობა (8.7%) და სსო-ების მიერ საჯარო კამპანიის მეშვეობით ზეწოლის მოხდენა (8.1%).

თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში არ გამოვლენილა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები.

დიაგრამა #4.10



დიაგრამა #4.11



5. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

შეჯამება:

საქართველოს სსო–თა დონორი ორგანიზაციების ჩამონათვალი მრავალფროვანია. თუმცა, გამოიკვეთა სამი ორგანიზცია, საიდანაც სამოქალაქო სექტორი ყველაზე ხშირად ფინანსდება, 2012 წლიდან მოყოლებული: ა) ევროკავშირი (12.1%), USAID (9.4%) და „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“ (8.4%) (ანალოგიური მონაცემები დაფიქსირდა 2014 წლის კვლევაშიც).

სსო–თა 39%–ს მონაწილეობა აქვს მიღებული ევროკავშირის პროგრამების დიზაინში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში. ყველაზე დიდი გამოცდილება სამოქალაქო სექტორს ევროკავშირის პროგრამების განხორციელებაში დაუგროვდა (32.5%), შემდეგ – დიზაინში (17.3%), ხოლო ყველაზე მცირე – მონიტორინგსა და შეფასებაში (14.2% თითოეული).

ევროკავშირის იმ პროგრამებიდან, რომელთა დიზაინშიც სსო–ები მონაწილეობდნენ, გამოიკვეთა ორი: ა) სსო–თა საქმიანობის საგზაო რუკა (Roadmap for engagement with CSOs) და ბ) ადამიანოს უფლებათა ინსტრუმენტები და შემოსავლები (Human rights instruments and livelihoods). უფრო მრავალფეროვანია იმ პროგრამების ნუსხა, რომელთა განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ სსო–ები. მაგალითად, ასეთი პროგრამებია: ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD), ადამიანის უფლებათა გამოწვევები (Human rights competition), ენერგო–სექტორში ინოვაციების და განვითარებოს ხელშეწყობა (Promoting innovation and the development of energy sector), თანაბარი უფლებებისთვის და ა.შ.

სსო–თა გამოკვეთილი უმრავლესობისთვის (74%–მდე), ვინც ნაწილეობდა ევროკავშირის პროგრამების დიზაინში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში, ეს გამოცდილება სასარგებლო აღმოჩნდა.

კვლევაში მონაწილე სსო-ების დონორი/ინვესტორი ორგანიზაციების ჩამონათვალი (2012 წლიდან მოყოლებული) საკმაოდ მრავალფეროვანია. თუმცა, იკვეთება, რომ სსო-ები დაფინანსებას ყველაზე ხშირად იღებენ ევროკავშირისგან (12.1%), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსგან (USAID) (9.4%) და „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოსგან“ (8.4%).

დონორი ორგანიზაციების სრული ჩამონათვალი გამოიყურება შემდეგნაირად (იხ. დიაგრამა #5.1):

დიაგრამა #5.1



აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო სექტორის ძირითადი დონორების ჩამონათვალი არ შეცვლილა ბოლო ერთი წლის მანძილზე: 2014 წლის კვლევამაც ანალოგიური მონაცემები აჩენა.

სსო–თა 17.3%-ს მონაწილეობა აქვს მიღებული ევროკავშირის პროგრამების **ფორმულირებაში;** აქედან, ნახევარზე მეტს (10.2%) - რამდენჯერმე. რესპონდენტთა 44%–ს გაუჭირდა დაესახელებინა კონკრეტული პროგრამა, რომლის დიზაინშიც მონაწილეობა მიუღია. დასახელებულ პროგრამებს შორის გამოიკვეთა ორი: ა) სსო–თა საქმიანობის საგზაო რუკა (Roadmap for engagement with CSOs) და ბ) ადამიანოს უფლებათა ინსტრუმენტები და შემოსავლები (Human rights instruments and livelihoods).

პროგრამათა სრული ჩამონათვალი მოცემულია დიაგრამაზე #:5.2

დიაგრამა #5.2



სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მესამედს (32.5%) მონაწილეობა აქვს მიღებული ევროკავშირის პროგრამების **განხორციელებაში,** აქედან ნახევარზე მეტს (17.3%) - რამდენჯერმე. პროგრამათა ჩამონათვალი გრძელია. აღსანიშნავია, მაგალითად, შემდეგი პროგრამები:

- ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD)
- ადამიანის უფლებათა გამოწვევები (Human rights competition)
- ენერგო–სექტორში ინოვაციების და განვითარებოს ხელშეწყობა (Promoting innovation and the development of energy sector)
- თანაბარი უფლებებისთვის
- და ა.შ.

პროგრამათა მეტ–ნაკლებად სრული ჩამონათვალი იხ. დიაგრამაზე #:5.3

დიაგრამა #5.3



ორგანიზაციათა 14.2%-ს მონაწილეობა აქვს მიღებული ევროკავშირის პროგრამ(ებ)ის **მონიტორინგში**, აქედან, 9.6%-ს – რამდენჯერმე. გამოკითხულთა უმრავლესობა კვლავ ვერ იხსენებს, რომელი პროგრამების მონიტორინგი ჩაატარა მათმა ორგანიზაციამ. შედარებით გამოიკვეთა ორი პროგრამა: ა). ნაციონალური ფლატფორმის დახმარების გაძლიერება (Strengthening of the national platform support) და ბ) ადამიანის უფლებათა გამოწვევები (Human rights competition). სრული ჩამონათვალი იხ. დიაგრამაზე #5.4:

დიაგრამა #5.4



ორგანიზაციათა 14.2%-ს მონაწილეობა აქვს მიღებული ევროკავშირის პროგრამ(ებ)ის **შეფასებაში,** აქედან - 10.2%-ს – რამდენჯერმე. ყოველ მეორე რესპონდენტს აღარ ახსოვს, რომელი პროგრამების შეფასება გააკეთა მათმა ორგანიზაციამ. დასახელებულ პროგრამებს შორის მეტ–ნაკლებად გამოიკვეთა ადამიანის უფლებათა გამოწვევები (Human rights competition). პროგრამების სრული ჩამონათვალი ი. დიაგრამაზე #5.5:

დიაგრამა #5.5



საბოლოო ჯამში, იმ სსო–თა წილი, რომლებიც მონაწილეობდნენ ევროკავშირის პროგრამების დიზაინში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში, დაახლოებით 39%–ა (სულ 76 სსო). ამ ორგანიზაციათა მხოლოდ 2.6% აფასებს, მიღებულ გამოცდილებას, როგორც სრულიად უსარგებლოს. ორგანიზაციათა 73.7%-სთვის ეს გამოცდილება სასარგებლოა.

დიაგრამა #5.6


Genarally speaking, how would you assess usefulness for your organization to be involved in formulation/implementation/monitoring/evaluation of EU programmes?
Very useful
43.4%
Useful
30.3%
Of little use
2.6%
Do not know / not applicable
23.7%
N=76

6. თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან/ბიზნესთან და მასმედიასთან ურთიერთობა

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის საგზაო რუკის (Roadmap for engagement with CSO's) ერთ–ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორებს წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტებთან/ბიზნესთან, აგრეთვე, მასმედიასთან ნაყოფიერი კოოპერაცია.

რა ვითარებაა, ამ თალსაზრისით, საქართველოში? რა აჩვენა კვლევამ და რა შეიცვალა აღნიშნულ ინდიკატორებთან დაკავშირებით ბოლო ერთი წლის განმავლობაში?

შეჯამება

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა უმრავლესობა (53.2%) არ თანამშრომლობს ეკონომიკურ აგენტებთან, თანამშრომლობაზე მიუთითებს სსო–თა დაახლოებით 41%; 2014 წლის ვითარებასთან შედარებით, ბიზნესთან კოოპერაცია მეტ–ნაკლებად გაზრდილია (დაახლოებით 8%–ით). სსო-ების თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან გულისხმობს: ერთობლივი პროექტების ინიცირებას, დაფინანსების მიღებას სხვადასხვა აქტივობებისთვის, აღჭურვილობითა და უძრავი ქონებით დახმარებას, კონსულტაციების გამართვას და სხვ.

ბიზნესთან მოთანამშრომლე ორგანიზაციათა უმრავლესობა (56.6%) კმაყოფილია ეკონომიკურ აგენტებთან ურთიერთობით, ხოლო მესამედი – უკმაყოფილო.

სსო–ების წარმომადგენელთა აზრით, ეკონომიკურ აგენტებთან ნაყოფიერ ურთიერთობას ყველაზე მეტად ხელს უშლის: ა) ეკონომიკური აგენტებისთვის გარკვეული ბონუსების არარსებობა სამოქალაქო მხარდაჭერის სანაცვლოდ; ბ)დონორობისა და სპონსორობის განხორციელებისთვის ხელსაყრელი კანონმდებლობის არარსებობა ბიზნეს ორგანიზაციებისთვის და გ) ეკონომიკური აგენტების რეზისტენტული/გულგრილი დამოკიდებულება სსო-ების მიმართ.

ბიზნესის წარმომადგენლებთან ეფექტური თანამშრომლობისათვის სსო–ები თანაბრად მნიშვნელოვნად თვლიან: ა) ერთობლივი პროექტების განხორციელებას და ბ) დონორობისა და სპონსორობის განხორციელებისთვის ხელსაყრელი კანონმდებლობის არსებობას (კერძოდ, ეკონომიკური ორგანიზაციებისთვის გარკვეული გადასახადებისაგან გათავისუფლებას).

* * *

სსო-ები თავიანთი საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ძირითადად ახდენენ საინფორმაციო წყაროების (გაზეთები, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი) ახალ ამბების და

პრეს–რელიზების მეშვეობით. სსო-ების აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს ურთიერთობა მასმედიასთან. სსო–ები მასმედიას მათ მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ღონისძიების გაშუქების მიზნით მიმართავენ. თუმცა, 2014 წელთან შედარებით, ეს კონკრეტული პრაქტიკა შემცირებულია , მასმედიასთან ურთიერთობის სხვა გზების გაზრდის ხარჯზე, როგორიცაა: კვლევის/ანალიზის შედეგების პუბლიკაცია, ტრენინგების ჩატარება ჟურნალისტებისთვის, საჯარო ადმინისტრაციაზე მედიის გამოყენებით ზეწოლა, რეპორტაჟების/ჟურნალისტური გამოძიების დაფინანსება და სხვა.

სსო-ების გამოკვეთილი უმრავლესობა (71%–მდე) კმაყოფილია მასმედიასთან ურთიერთობით, თუმცა, კმაყოფილების ხარისხი, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია. უკმაყოფილების ძირითად მიზეზად სსო-ები ძირითადად ასახელებენ იმას, რომ მათი ორგანიზაციის აქტივობები არასრულადაა აღწერილი ან არასაკმარისადაა ახსნილი ორგანიზაციის საქმიანობების მისია/მიზნები.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ, აშკარა დისონანსი არსებობს სსო–ების ბიზნესთან და მასმედიასთან თანამშრომლობაში. სსო–თა უმრავლესობა არ თანამშრომლობს ეკონომიკურ აგენტებთან, ხოლო მედიასთან ურთიერთობაში ჩართულია პრაქტიკულად მთელი სამოქალაქო სექტორი. განსხვავებაა თანამშრომლობით კმაყოფილების ხარისხშიც: ბიზნესთან თანამშრომლობით (ვისაც ეს გამოუცდია) უკმაყოფილოა სსო–ების მესამედი, ხოლო მედიასთან თანამშრომლობით – მხოლოდ 13%–მდე. აღსანიშნავია, რომ ბიზნესთან თანამშრომლობას ძირითადად ორმხრივად სასარგებლო ხასიათი აქვს, ხოლო მედიასთან თანამშრომლობა უფრო მომხმარებლურია (მედიას სამოქალაქო სექტორი ძირითადად თავისი ღონისძიებების გასაშუქებლად იყენებს). თუმცა, როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით ვითარება შეცვლილია გასულ წელთან შედარებით: უფრო აქტიურად ხდება თავად მედიის განვითარებაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა სსო–ების მიერ ტრენინგების ჩატარება ჟურნალისტებისთვის, რეპორტაჟების/ჟურნალისტური გამოძიების დაფინანსება და სხვა.

6.1. თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ნახევარზე მეტი (53.2%) არ თანამშრომლობს ეკონომიკურ აგენტებთან. ბიზნესთან თანამშრომობას ადასტურებს დაახლოებით 41% (6.1%–ს გაუჭირდა პასუხის გაცემა).

სსო-ების მცირე ნაწილი, თითქმის თანაბარი წილით, აწარმოებენ შემდეგი სახის თანამშრომლობას ეკონომიკურ აგენტებთან:

- ერთობლივი პროექტების ინიცირება
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტივობების დაფინანსება
- დახმარების მიღება აღჭურვილობითა და უძრავი ქონებით
- გარკვეულ პრობლემებზე კონსულტაციების გამართვა

სსო–თა მცირე ნაწილი ყოფილა დაქირავებული ეკონომიკური აგენტების მიერ გარკვეული აქტივობის განხორციელებისათვის (2.6%), ან სსო–თა წარმომადგენელს უმუშავია ბიზნეს–კომპანიაში მოხალისედ.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელთან შედარებით, რამდენადმე გაზრდილია (დაახლოებით 8%–ით) ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობის პრაქტიკა. ზრდა ძირითადად შეეხო სსო–თა აქტივობების დაფინანსებას და ბიზნეს ორგანიზაციებთან კონსულტაციებს.

დიაგრამა #6.1



მონაცემების **რეგიონულ ჭრილში** განხილვა აჩვენებს გარკვეულ განსხვავებებს: ა) დასავლეთ საქართველოში შედარებით გამოიკვეთა ბიზნესის მიერ სსო–ების აქტივობების დაფინანსება (თანამშრომლობის შემთხვევათა 18.2%), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – ეკონომიკურ აგენტებთან კონსულტაციების გამართვა გარკვეულ პრობლემებზე (შემთხვევათა 13%).

იმ სსო–თა უმრავლესობა (56.6%), ვინც თანამშრომლობს ბიზნეს ორიგანიზაციებთან, კმაყოფილია ამ თანამშრომლობით, თუმცა, გამოკვეთილად პოზიტიური განწყობა („ძალზე კმაყოფილი“) მხოლოდ 3.3%–ს აქვს; ბიზნესთან თანამშრომლობით უკმაყოფილოა ყოველი მესამე გამოკითხული სსო (33.3%). ამ თვალსაზრით, ვითარება იმეორებს 2014 წლის ტენდენციებს.

დიაგრამა #6.2



გამოკითხულთა აზრი არაერთგვაროვანია იმასთან დაკავშირებით, თუ რა უშლის ხელს ეკონომიკურ აგენტებთან ნაყოფიერ თანამშრომლობას. სსო–ებმა გამოყვეს სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერი:

- ეკონომიკური აგენტებისთვის გარკვეული ბონუსების (მაგ. საგადასახადო შეღავათების) არარსებობა სამოქალაქო მხარდაჭერის სანაცვლოდ (24.2%);
- დონორობისა და სპონსორობის განხორციელებისთვის ხელსაყრელი კანონმდებლობის არარსებობა ბიზნეს ორგანიზაციებისთვის (23.7%);
- ეკონომიკური აგენტების რეზისტენტული/გულგრილი დამოკიდებულება სსო-ების მიმართ (20.9%).

შედარებით ნაკლებად ხელის შემშლელი აღმოჩნდა შემდეგი ფაქტორები: არაკონკურენტული გარემო ბიზნეს-კომპანიებისთვის, რაც მოტივაციას უკარგავს მათ ითანამშრომლონ სამოქალაქო სექტორთან, როგორც ლეგიტიმაციის ინსტრუმენტთან (12.6%); სსო-ების დაბალი ექსპერტული პოტენციალი (6.4%) და სხვა.

სსო–ების წარმომადგენლებმა, ასევე, დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ **რომელი ფაქტორების საშუალებით გახდება სამოქალაქო საზოგადოებისა და ეკონომიკურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა ეფექტური.** პოზიციები საკმაოდ დივერსიფიცირებულია.

რესპონდენტთა აზრით, უფრო (და თანაბარწილად) მნიშვნელოვანია: ა) ერთობლივი პროექტების განხორციელება და ბ) დონორობისა და სპონსორობის განხორციელებისთვის ხელსაყრელი კანონმდებლობის არსებობის უზრუნველყოფა, კერძოდ, ეკონომიკური ორგანიზაციებისთვის გარკვეული გადასახადებისაგან გათავისუფლება (თითოეული ამ ფაქტორის წილია 20.1%).

სსო–თა გარკვეულმა ნაწილმა უპირატესობა მიანიჭა, აგრეთვე, ერთობლივი შეხვედრებისა და ღონისძიებების გამართვას (16.4%) და ბიზნეს გარემოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობების გაშუქებას (14.6%).

შედეგები მსგავსადაა გადანაწილებული თბილისის და რეგიონების სსო-თვის.

დიაგრამა #6.3



6.2. თანამშრომლობა მასმედიასთან

საკუთარი საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისათვის სსო-ები იყენებენ სხვადასხვა საშუალებას; მათ შორის, ყველაზე ხშირად - საინფორმაციო წყაროებით (გაზეთები, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი) მიწოდებულ ახალ ამბებს და პრეს–რელიზებს (25.4%), თუმცა, 2014 წელთან შედარებით, ეს პრაქტიკა რამდენადმე შემცირებულია (დაახლოებით 10%-ით). ასევე, წინა წელთან შედარებით, 2015 წელს 5%-ით არის შემცირებული სსო-ების მიერ საჯარო ღონისძიებების (მრგვალი მაგიდა, კონფერენციები) გამოყენება საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის (20.1%); მეორე მხრივ, გაზრდილია (8%-ით) საზოგადოებრივი კამპანიის გამოყენება (19.5%). 2015 წელს ორგანიზაციათა თითქმის თანაბარი რაოდენობა (საშუალოდ 20%) იყენებს, ასევე, ფლაერებსა და ბროშურებს საზოგადოების ინფორმირებისათვის შედარებით. კვლავ ყველაზე მცირე გამოყენება აქვს სსო–თა ანგარიშების გამოქვეყნებას მასმედაში (11.3%).

შედეგები თანაბრად რელევანტურია თბილისისთვისა და რეგიონებისთვის.

დიაგრამა #6.4



სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა აბსოლუტურ უმრავლესობას (95%-ზე მეტს) აქვს ურთიერთობა მასმედიასთან. მას მედიასთან კავშირს მხოლოდ 1.2% ურყოფს.

მედიასთან ურთიერთობის დომინანტურ ფორმას წარმოადგენს მედია საშუალებების მოწვევა სხვადასხვა ღონისძიებათა გაშუქების მიზნით (41.7%). შედარებით ნაკლებად ხდება (5-16%–ის ფარგლებში) მასმედიასთან ურთიერთობა ისეთი გზების გამოყენებით, როგორიცაა: კვლევის/ანალიზის შედეგების მედიაში პუბლიკაცია, ჟურნალისტებისთვის ტრენინგების

ჩატარება, ცნობიერების ასამაღლებლად საზოგადოებრივი კამპანიების ორგანიზება, ხელისუფლებაზე ზეწოლა და რეპორტაჟების/ჟურნალისტური გამოძიებების დაფინანსება.

კვლევის შედეგები მეტ-ნაკლებად განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. თბილისის და დასავლეთ საქართველოს რეგიონის მონაცემები თითქმის მსგავსია. თუმცა, აღმოსავლეთ საქართველოს ორგანიზაციებისთვის, თბილისის და დასავლეთ საქართველოს ორგანიზაციებთან შედარებით, მასმედიასთან ურთიერთობის შედარებით ნაკლებად დამკვიდრებული პრაქტიკაა ცნობიერების ასამაღლებელი საზოგადოებრივი კამპანიები და ტრენინგები ჟურნალისტებისთვის. სამაგიეროდ, დასავლეთ საქართველოში შედარებით უფრო მაღალია ღონისძიებების გაშუქების და პუბლიკაციების გამოქვეყნების გზით მასმედიასთან ინტერაქციის წილი..

2014 წლის მონაცემებთან შედარება აჩვენებს, რომ 2015 წელს შემცირებულია მასმედიასთან ურთიერთობის პრაქტიკა სხვადასხვა ღონისძიების გაშუქების მიზნით. სამაგიეროდ, თითქმის თანაბრადაა გაზრდილი მასმედიასთან ურთიერთობის სხვა გზების პროცენტული მაჩვენებლები.

დიაგრამა # 6.5



სსო–ების გამოკვეთილი უმრავლესობა – 70.5% – კმაყოფილია მასმედიასთან ურთიერთობით („ძალიან კმაყოფილი“ – 8.6%, „კმაყოფილი“ - 61.9%). პოზიციის გამოხატვა გაუჭირდა გამოკითხულთა 8.6%-ს, ხოლო სსო–თა მეხუთედი არის უკმაყოფილო (18.8%) ან ძალიან

უკმაყოფილო (2.0%). 2014 წელთან შედარებით, შემცირებულია მას-მედიასთან ურთიერთობით კმაყოფილთა რიცხვი.

დიაგრამა #6.6



რესპონდენტებმა მასმედიასთან ურთიერთობით გამოწვეული უკმაყოფილების მიზეზთა შორის ყველაზე ხშირად დაასახელეს ის, რომ მათი ორგანიზაციის მისია და აქტივობები არასრულადაა აღწერილი (39.0%) და არასაკმარისადაა ახსნილი ორგანიზაციის საქმიანობების მისია/მიზნები (25.4%). უფრო იშვიათ შემთხვევებში (4-5%) დაფიქსირდა შემდეგი მიზეზები: ორგანიზაციის შესახებ ცრუ ინფორმაციის გაშუქება, ორგანიზაციის შესახებ ტენდენციური ინფორმაციის გაშუქება, კვალიფიკაციის ნაკლებობა, ორგანიზაციის საქმიანობით დაუინტერესებლობა და სხვა. გამოკითხულთა მნიშვნელოვან ნაწილს (13.6%) გაუჭირდა პოზიციის დაფიქსირება ამ საკითხთან დაკავშირებით.

2014 წლის კვლევასთან შედარებით, მასმედიასთან თანამშრომლობით გამოწვეული უკმაყოფილების მიზეზებში პრიორიტეტები უცვლელია.

დიაგრამა #6.7


If the answer is either «not very satisfied» or «not satisfied at all», what is the reason to that ?
Our mission and activities are incompletely described
39.0%
45.8%
Mission / purpose of our organisation's activities are explained insufficiently
25.4%
16.7%
Are not interested in non political and non criminal issues
8.3%
False information is being disseminated about our organisation
5.1%
There is an obvious tendency of disseminating certain news about our organisation
5.1%
Lack of qualification
5.1%
Our subject is not interesting for them
3.4%
Other
3.4%
29.2%
Do not know / not aware
13.6%
2015
2014
N = 197

7. სამოქალაქო განათლების მხარდაჭერა

შეჯამება

სსო-ის უმრავლესობა (დაახლოებით 67%) ჩართულია სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამების განხორციელებაში (ბოლო 5 წლის განმავლობაში). პროგრამები საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა იკვეთება ორი აქტივობა: სამოქალაქო განათლების თემებზე ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის და ღია სემინარების/დისკუსიების მოწყობა სამოქალაქო განათლების თემებზე. სამოქალაქო განათლების მხარდამჭერ საქმიანობებში ყველაზე სუსტადაა წარმოადგენილი სამოქალაქო სექტოსი თანამშრომლობა უნივერსიტეტებთან (აკადემიასთან) – სსო–თა მცირე ნაწილი მიუწვევათ უნივერსიტეტებს სტუმარ ლექტორებად ცალკეულ თემებზე(guest speaker) (7.8%) ან სრული კურსის წასაკითხად (4.6%) სამოქალაქო განათლების სფეროში.

რაც შეეხება ბენეფიციარის სახით სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამებში მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში), ამას სსო–თა 47.2% ადასტურებს. ეს პროგრამებია: ღია სემინარები/დისკუსიები სამოქალაქო განათლების თემებზე, სასერთიფიკატო სასწავლო პროგრამები და სხვ. ამ შემთხვევაშიც იკვეთება სსო–ებსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის დაბალი ხარისხი (რესპონდენტთა მხოლოდ 5.7% ადასტურებს საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებში მონაწილეობას).

სამოქალაქო განათლების განვითარების ხელის შემშლელ ფაქტორებად ძირითადად სახელდება: სამოქალაქო განათლების მიმართ ინტერესის დაბალი დონე (29.1%); სამოქალაქო განათლების არასრულყოფილი (არარელევანტური) სასწავლო პროგრამები (26.1%); არაკვალიფიციური კადრები სამოქალაქო განათლების სწავლების სფეროში (20.4%) და ტრადიციული საზოგადოების ღირებულებების სიმყარე (17.1%). ამ უკანასკნელ წინაღობაზე აქცენტი დასვეს რეგიონული სსო–ბის წარმომადგენლება (თბილისთან შედარებით), ხოლო, თბილისის სსო–ები უფრო მეტად უჩივიან სამოქალაქო განათლების სრულყოფილი სასწავლო პროგრამის არარსებობას.

კვლევაში მონაწილე ორგანიზაციათა დიდი უმრავლესობა (დაახლოებით 81%) გამოთქვამს მზაობას, რომ ჩაერთოს სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამაში, როგორც ბენეფიციარი. პრიორიტეტებად დასახელდა ცოდნის/ინფორმაციის მიღება სამოქალაქო განათლების ისეთ სფეროებში, როგორიცაა ა) ადამიანის უფლებები და ბ) სამოქალაქო საზოგადოება და მოქლაქეთა მონაწილეობა.

სსო-თა გამოკვეთილ უმრავლესობას (66.5%) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამის განხორციელებაში სხვადასხვა სახით:

დიაგრამა #7.1



ყველაზე მეტს - ყოველ მეოთხე სსო–ს – ჩაუტარებია ტრენინგები სხვდასხვა სამიზნე ჯგუფისთვის სამოქალაქო განათლების თემებზე, ყოველ მეხუთე ორგანიზაცია მოუწყვია ღია სემინარები/დისკუსიები სამოქალაქო განათლების თემებზე. გამოკითხვა აჩვენებს, რომ სამოქალაქო განათლების მხარდაჭერის პრაქტიკებში **ყველაზე სუსტი რგოლია სამოქალაქო სექტორის და აკადემიის (უნივერსიტეტების) თანამშრომლობა**: სსო–თა დაახლოებით 8% აცხადებს, რომ მათი ორგანიზაციის წევრები სტუმრის სტატუსით მიიწვიეს საუნივრსიტეტი სამოქალაქო განათლების კურსის ფარგლეში ერთი ან რამდენიმე ლექციის ჩასატარებლად, ხოლო კიდევ უფრო მცირეა (4.6%) იმ სსო–თა რაოდენობა, ვისი წარმომადგენელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო განათლების სრული კურსის წაკითხვას უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებში.

ამ საკითხთან მიმართებაში, არ იკვეთება მნიშვნელოვანი განსხვავებები თბილისისა და რეგიონების მაჩვენებლებს შორის.

სამოქალაქო სექტორი საქართველოში მეტ–ნაკლებად აქტიურობს, აგრეთვე, როგორც სამოქალაქო **განათლების ბენეფიციარი (მიმღები):** ოთითქმის თანაბარია იმ ორგანიზაციათა

რაოდენობა, რომლებსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამაში მიუღიათ (47.2%) ან არ მიუღიათ (48.7%) მონაწილეობა, როგორც ბენეფიციარებს. სსო-თა ყველაზე დიდი ნაწილს (34.1%) მონაწილეობა აქვს მიღებული ღია სემინარებში/დისკუსიებში სამოქალაქო განათლების თემებზე. ასევე, ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილის (30.1%) წევრებმა გაიარეს ტრენინგები სამოქალაქო განათლების თემებზე. აღსანიშნავია სსო-ების მონაწილეობა სასერთიფიკატო სასწავლო პროგრამებში, რომელშიც სამოქალაქო განათლების თემები იყო ჩართული (26.7%). თუმცა, აღნიშნული მიმართულებითაც იკვეთება **სსო–ებსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის დაბალი ხარისხი:** სსო–თა მხოლოდ 5.7% აცახდებს, რომ მათი ორგანიზაციის წევრები ჩართულნი იყვნენ საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრაგრემებში სამოქალაქო განათლების მისაღებად.

დიაგრამა #7.2



შედეგები მსგავსადაა განაწილებული თბილისის და რეგიონების სსო-ებისთვის.

შეკითხვაზე, თუ რა **წინაღობები** ახლავს სამოქალაქო განათლების განვითარებას საქართველოში, რესპონდენტთა საკმაოდ დიდ ნაწილს (26.9%) გაუჭირდა პოზიციის დაფიქსირება. დანარჩენ შემთხვევებში, ყველაზე ხშირად დასახელდა: სამოქალაქო განათლების მიმართ ინტერესის დაბალი დონე (29.1%); სამოქალაქო განათლების არასრულყოფილი (არარელევანტური) სასწავლო პროგრამები (26.1%); არაკვალიფიციური კადრები სამოქალაქო განათლების სწავლების სფეროში (20.4%) და ტრადიციული საზოგადოების ღირებულებების სიმყარე (17.1%).

თუ მონაცემებს რეგიონულ ჭრილში განვიხილავთ, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო განათლების სრულყოფილი სასწავლო პროგრამის არარსებობას უფრო მეტად უჩივიან თბილისის სსო-ები (დაახლოებით 30%), ხოლო ტრადიციული საზოგადოების ღირებულებებს, როგორც წინაღობას სამოქალაქო განათლების განვითარებისათვის, უფრო გამოკვეთენ რეგიონული სსო–ები (დაალოებით 21%), თბილისის სსო–ებთან შედარებით (4.4%).

კვლევაში მონაწილე ორგანიზაციათა დიდი უმრავლესობა (80.7%) **ჩაერთვებოდა სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამაში, როგორც ბენეფიციარი.** სსო–თვის პრიორიტეტულია ცოდნის/ინფორმაციის მიღება სამოქალაქო განათლების ისეთ სფეროებში, როგორიცაა ა) ადამიანის უფლებები და ბ) სამოქალაქო საზოგადოება და მოქლაქეთა მონაწილეობა.

დიაგრამა #7.3



აღსანიშნავია რეგიონალური განსხვავებები: ადამიანის უფლებებზე ინფორმაციის მიღება პრიორიტეტულ საკითხად უფრო იშვიათად (13.3%) დასახელდა დასავლეთ საქართველოს სსო-ების წარმომადგენლების მიერ, თბილისისა (21.5%) და აღმოსავლეთ საქართველოს სსო-ებთან (19.2%) შედარებით. რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოებასა და მოქალაქეთა მონაწილეობას, ეს საკითხი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სსო-ებისთვის უფრო პრიორიტეტულია (22.9%, 22.6%, შესაბამისად), ვიდრე თბილისის სსო-ებისთვის (15.3%).

8. სსო–თა თანამშრომლობა თემატური და რეგიონული ქსელების ფარგლებში; მოხალისეობრივი აქტივობები და სსო–თა შორის სოლიდარობა

შეჯამება:

საქართველოში მოქმედი სსო-ების უმრავლესობა (55.8%) ერთხელ მაინც ყოფილა სსო–თა თემატური ქსელის წევრი (მათგან 21.8% ამგვარ ქსელში რამდენჯერმე გაწევრიანდა). თემატური ქსელ(ებ)ი ორიენტირებულია როგორც პრაქტიკულ („watch dog") საქმიანობაზე, ისე კვლევაზე (51.8%). თემატური ქსელის ფარგლებში სსო-ები ძირითადად თანამშრომლობენ ადამიანის უფლებებთან და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების, განათლების და ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმის თემების გარშემო. სსო-თა თემატური ქსელი ძირითადად მოიცავს საქართველოს რეგიონებში და თბილისში მოქმედ სსო–ებს; ქსელში იშვიათადაა ჩართული სახრეთ კავკასიის რეგიონის სამოქალაქო სექტორი და პრაქტიკულად არასოდეს – რუსეთის სამოქალაქო საზოგადოება. თუმცა, სხვა საერთაშორისო სამოქალაქო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე, თემატური ქსელის ფარგლებში, ქსელების მონაწილე ორგანიზაციათა დაახლოებით მესამედი მიუთითებს. რესპონდენტების იმ ჯგუფის დიდი უმრავლესობა (89.1%), რომელიც ერთხელ მაინც ყოფილა სსო-ების ქსელის წევრი, აღნიშნული ქსელ(ებ)ის საქმიანობას წარმატებულად აფასებს (ძირითადად ან ყოველთვის).

მოხალისეობრივ პრაქტიკებში, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, საქართველოში მოქმედი ყოველი მეორე სსო-ები ხშირად ერთვება, ხოლო დაახლოებით 27% – ზოგჯერ. მოხალისეობრივი საქმიანობა ძირითადად სამი მიმართულებით ხორციელდება:

- სოციალურად დაუცველი ჯგუფების მომსახურება (შემთხვევათა 26.7%);
- საგანმანათლებლო ტრენინგები სხვადასხვა სფეროში (შემთხვევათა 24%);
- ადგილობრივი/ცენტრალური ხელისუფლების დახმარება – სვადასხვა კომისიებში ჩართვის გზით (შემთხვევათა 18.3%).

შეიძლება ითქვას, რომ სსო–ების გარემო საქართველოში უფრო მეტად სოლიდარულია. სსო-ების ერთმანეთის მიმართ მხარდაჭერა და კოოპერაცია ძირითადად გარკვეული ინიციატივების გაზიარებით (77.7%) ან ამ ინიციატივების გარშემო გაერთიანებით (66%) გამოიხატება. გავრცელებულია, აგრეთვე ისეთი პრაქტიკები, როგორიცაა ურთიერთმხარდამჭერი განცხადებების გაკეთება ან საოფისე ფართის გაზიარება სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად.

სსო–თა სამიანობის „საგზაო რუკა“ (Roadmap for engagement with CSOs) მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან პარამეტრს, როგორიცაა სსოთა თემატური და რეგიონული ქსელების შექმნა და კოოპერაციის სხვადასხვა ფორმები, რაც სსო–თა შორის სოლიდარობის ხარისხზე მიუთითებს.

რას აჩვენებს კვლევა ამ მიმართულებით?

საქართველოში მოქმედი სსო-ების 41.6%, 2012 წლიდან მოყოლებული, არ ყოფილა არც ერთი სსო ქსელის წევრი, რომელიც შეიქნა **რაიმე თემის/საკითხის გარშემო.** მეხუთედზე ოდნავ მეტი (21.8%) მხოლოდ ერთხელ გამხდარა ამგვარი ქსელის წევრი, ხოლო დაახლოებით ნესამედი (34%) - რამდენჯერმე. თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში დაფიქსირდა ანალოგიური ტენდენცია.

დიაგრამა #8.1

Have you ever joined a network of CSOs which has been created in the framework of specific thematic issues since 2012?



N = 197

სსო-ების იმ წარმომადგენლებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათი ორგანიზაცია 2012 წლიდან მოყოლებული ერთხელ მაინც ყოფილა სსო-ების რაიმე **თემატური ქსელის** წევრი, მიუთითეს, რომ ძირითადად ეს ქსელი იყო ორიენტირებული როგორც **პრაქტიკულ საქმიანობაზე** (ე.წ. “watch-dog” აქტივობები), ისე **კვლევაზე** (რესპონდენტთა 51.8%); 37.3% კი აღნიშნავს, რომ სსო–თა თემატური ქსელი მხოლოდ პრაქტიკულ საქმიანობაზე იყო ორიეტირებული. თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი

განსხვავებები, გარდა ერთისა - დასავლეთ საქართველოში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი აქვს სსო–თა თემატური ქსელის პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტაციას (63.6%).

დიაგრამა #8.2

Have these networks been practice or research oriented?



N=110

აღმოჩნდა, რომ სსო-ების თემატური ქსელის ფარგლებში გაერთიანებული ორგანიზაციები ძირითადად სამართლებრივ, განათლების და ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმის საკითხებზე თანამშრომლობენ:

- ✓ ადამიანის უფლებებთან და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები/თემები (შემთხვევათა 24.5%);
- ✓ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები (შემთხვევათა 19.3%);
- ✓ ადგილობრივი ხელისუფლების/მუნიციპალიტეტების რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები/თემები (შემთხვევათა 16.7%).

შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს აგრეთვე ეკოლოგიასთან/გარემოს დაცვასთან დაკავშირეულ საკითხებს/თემებს (შემთხვევათა 12%). ანალოგიური ტენდენციები დაფიქსირდა თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში.

დიაგრამა #8.3



სსო-ების ის თემატური ქსელ(ებ)ი, რომლებსაც კვლევის მონაწილე ორგანიზაციები 2012 წლიდან შეუერთდნენ, ძირითადად საქართველოს რეგიონებში (80.9%) და თბილისში (66.4%) დაფუძნებულ ორგანიზაციებს მოიცავს. სამხრეთ კავკასიის რეგიონის სს–ებთან თემატური თანამშრომლობა ღარიბია, რუსეთის სსო–ებთან – პრაქტიკულად არ არსებობს. თემატური ქსელის მონაწილე სსო–თა მესამედზე ოდნავ მეტმა მიუთითა, რომ ქსელი მოიცავდა სამხრეთ კავკასიის და რუსეთის გარდა სხვა საერთაშორისო სსო-ებს. თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში გამოვლინდა ორი ნიუანსური განსხვავება: დასავლეთ საქართველოში შედარებით ნაკლებია სსო–თა თემატურ ქსელში თბილისში დაფუძნებული ორგანიზაციების ჩართულობა (36.4%), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - მცირეა სხვა საერთაშორისო სსო-ების ქსელში ჩართულობის ხვედრითი წილი (დაახლ. 8%).

დიაგრამა #8.4



რესპონდენტები, რომლებიც სსო–თა თემატურ ქსელებში ჩართულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, ამ ქსელების საქმიანობებს წარმატებულად აფასებენ: განხორციელებული პროექტების/აქტივობების ძირითადი ნაწილის წარმატებაზე მიუთითებს 62.7%, ხოლო მეოთხედზე ოდნავ მეტი კი - ყველა განხორციელებული პროექტის წარმატებაზე (26.4%). თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი განსხვავეები.

დიაგრამა #8.5



კვლევამ აჩვენა სამოქალაქო სექტორის მოხალისეობრივ პრაქტიკებში აქტიური მონაწილეობა: ყოველი მეორე სსო–იის წარმომაგენელი (51.8%) მიუთითებს, რომ მოხალისობრივ საქმიანობებში „ხშირად“ მონაწილეობს, ხოლო მეოთხედზე ოდნავ მეტი (26.9%) აღნიშნავს „ზოგჯერ“ მონაწილეობის შესახებ. ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში.

დიაგრამა #8.6



ის ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ მოხალისეობრივ საქმიანობებში (ხშირად, ზოგჯერ ან იშვიათად - სულ გამოკითხულ სსო-თა 87.3%), მოხალისეობრივი პრაქტიკის სამ ძირითად მიმართულებას ასახელებენ:

- ✓ სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევა (შემთხვევათა 26.7%);
- ✓ საგანმანათლებლო ტრენინგების უზრუნველყოფა სხვადასხვა სფეროში (შემთხვევათა 24%);
- ✓ ხელისუფლებისთვის (ცენტრალური, ადგილობრივი) დახმარება პრობლემებზე მომუშავე სხვადასხვა კომისიებში ჩართვის გზით (შემთხვევათა 18.3%).

თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში დაფიქსირდა ანალოგიური ტენდენციები.

დიაგრამა #8.7



კვლევამ აჩვენა, თუ რამდენად მაღალია სსო–თა **სოლიდარობის ხარისხი** საქართველოში. რესპონდენტებმა უპასუხეს შეკითხვას, თუ რამდენად ხშირად ყოფილა, როდესაც მათმა ორგანიზაციამ, სხვა სსო-ებთან მიმართებაში, განახორციელა შემდეგი ქმედებები:

- ✓ გააკეთა ოფიციალური განცხადება სხვა ორგანიზაციის ინტერესების და რეპუტაციის დასაცავად;
- ✓ მხარი დაუჭირა სხვა ორგანიზაციის ინიციატივას;
- ✓ შეუერთდა სხვა ორგანიზაციის ინიციატივას (დროებითი კოალიციის ან სხვა რაიმე ფორმით);
- ✓ დაუთმო საკუთარი ოფისი (ან მისი ნაწილი) სხვა ორგანიზაციას გარკვეული აქტივობების განსახორციელებლად;
- ✓ შეიტანა სარჩელი სასამართლოში სხვა ორგანიზაციის ინტერესებისა და რეპუტაციის დასაცავად.

მონაცემები გვიჩვენებს, რომ სსო-თა შორის სოლიდარობა ძირითადად (პასუხები: „შირად“, „ზოგჯერ“) უკავშირდება სხვა ორგანიზაციების ინიციატივების მხარდაჭერას (77.7%), აგრეთვე, ამ ინიციატივების გარშემო გაერთიანებას დროებითი კოალიციის ან რაიმე სხვა ფორმით (66%). გამოკითხულ სსო–თა ნახევარი ან მეტი მიუთითებს სოლიდარობის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა: ოფიციალური განცხადების გაკეთება სხვა ორგანიზაციის ინტერესების დასაცავად (49.7%) და/ან საკუთარი ოფისის (ან მისი ნაწილის) დათმობა სხვა ორგანიზაციებისათვის

გარკვეული აქტივობების განსახორციელებლად (54.3%). ცოტაა ისეთი სსო–ები, რომლებსაც სასამართლოში სარჩელი შეაქვთ სხვა ორგანიზაციის ინტერესებისა და რეპუტაციის დასაცავად („ხშირად“ ან „ზოგჯერ“ ეს მოლოდ 11 სსო–ს გაუკეთებია: მათგან 5 სსო - თბილისში საქმიანობს); თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი განსხვავებები.

დიაგრამა #8.8



9. სოციალური საწარმოების პრაქტიკა

შეჯამება:

საქართველოში არსებული საწარმოების უმრავლესობა წარმოადგენს არამომგებიან, არასამთავრობო ორგანიზაციას (63.9% - 23 სსო).

სოციალური საწარმოები საქართველოში სხვადასხვა საქონელს/პროდუქტს აწარმოებენ, როგორიცაა მინანქარი, ხე, თაფლი, წვენი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და ა.შ. სხვადასხვა საქონლის/პროდუქტის წარმოება წამყვან პოზიციას იკავებს პირველ, მეორე და მესამე რიგში მნიშვნელოვანი პროდუქტის/მომსახურებების ჩამონათვალში, რასაც სოციალური მეწარმეობა სთავაზობს საზოგადოებას. სოციალური საწარმოებისთვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ინტელექტუალური მომსახურების (საკონსულტაციო საგანმანათლებლო, საინფორმაციო მომსახურება, აუდიო გამომცემლობა) და სოციალური სერვისების შეთავაზება.

კვლევამ აჩვენა, რომ სოციალურ საწარმოებს არ უჭირთ საკუთარი პროდუქციის რეალიზება (ნაწილობრივ ან სრულ რეალიზაციას ახდენს 80%, მათგან 36% - სრულად).

სოციალური საწარმოების ძირითად კლიენტებს წარმოადგენენ მოსახლეობა, ტურისტები/უცხოელი სტუმრები და მოწყვლადი ჯგუფები. სოციალური საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა ფართო საზოგადოებას მათი აქტივობების გაცნობის შესაძლებლობას აძლევს – ამის მთავარი მოტივატორი ახალი კლიენტების მოზიდვის საჭიროებაა და, აგრეთვე, საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღება; როგორც კვლევის მონაცემები აჩვენებს, აშკარაა სოციალური საწარმოების კლიენტების ზრდის ტენდენცია ბოლო 3 წლის (2012 – 14 წწ) განმავლობაში. მაგალითად, საშუალო მაჩვენებლების (MEAN) შედარება აჩვენებს. რომ 2014 წელს დაახლოებით 70%–ით მოიმატა სოციალური საწარმოების მომხმარებელთა რაოდენობამ 2012 წელთან შედარებით (2012 წელს – 1,297, ხოლო 2014 წელს – 2258 კლიენტი).

საზოგადოებისთვის საკუთარი საქმიანობის გაცნობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოტივატორს წარმოადგენს დონორების დაფინანსების უზრუნველყოფა, რაც ლოგიკურია, თუ გადავხედავთ მონაცემებს ფინანსური წყაროების წილის შესახებ შემოსავლის საერთო სტრუქტურაში: სოციალური საწარმოების შემოსავლის წყაროების წილი ბოლო სამი წლის განმავლობაში (კლიენტების რაოდენობის ანალოგიურად) ძირითად იგივე დარჩა ან უმნიშვნელოდ გაიზარდა.

სოციალური საწარმოების ძირითად დამფინანსებლად, 2012 წლიდან მოყოლებული, გვევლინება საერთაშორისო ორგანიზაციები/უცხელი დონორები. თუმცა, შემოსავლის ალტერნატიულ წყაროებს წარმოადგენს მომსახურების/პროდუქტის მიწოდება, საწევრო ჰონორარი და სახელმწიფო ფონდები.

რაც შეეხება სოციალური საწარმოების წლიური ბრუნვის მაჩვენებლებს 2012–14 წლებში, ისინი

საკმაოდ დივერსიფიცირებულია (არსებობენ საწარმოები 10 000 ლარიანი ბრუნვით და საწარმოები – მილიონამდე ბრუნვით). კვლევა აჩვენებს, რომ 2014 წელს გაზრდილია წლიური ბრუნვის დინამიკა როგორც 2012, ისე 2013 წლებთან შედარებით.

ყოველი მორე სოციალური საწარმოს წარმომადგენელი ფიქრობს, რომ მის წარმოებას შეუძლია იარსებოს სხვადასხვა დონორისგან მიღებული გრანტების გარეშე; თუმცა, ამავე დროს, რესპონდენტები საუბრობენ სახელმწიფოს როლის გაზრდაზე სოციალური მეწარეობის განვითარებაში: რესპონდენტების აზრით, სახელმწიფო სოციალურ საწარმოებს ძირითადად ორი გზით უნდა დაეხმაროს: მოახდინოს ზოგიერთი სოციალური პროგრამის სუბსიდირება და ინოვაციური პროექტების ინვესტირება.

სოციალური საწარმოების წარმატებული მუშაობისათვის მნიშვნლოვანი ფაქტორები ძირითადად უკავშირდება პიროვნული და პროფესიული უნარების განვითარებას - ლიდერის, მენეჯენტისა და მისი გუნდის გამოცდილებას, უნარებს; ასევე ინვესტორების და დონორების მხარდაჭერას და ინტერნეტ რესურსების, მათ შორის სოციალური ქსელების აქტიურად გამოყენებას (აღნიშნული ფაქტორების საშ. მაჩვენებელი (Mean) >4–ზე, 5-ქულიან სკალაზე). რესპონდენტები თვლიან, რომ სოციალური საწარმოს წარმატება ყველაზე ნაკლებადაა დაკავშირებული ე.წ. „ცნობილი სახეების“ - ბიზნესმენების, პოლიტიკური ელიტის და საზოგადოებითვის ცნობილი ადამიანების მხარდაჭერასთან.

სოცილური საწარმოების წარმომადგებლები თვლიან, რომ მათი ორგანიზაცია ინოვაციურია (83.3%), ე.ი. აკმაყოფილებს იმ საჭიროებებს, რომელთა დაკმაყოფილება ადრე არ ხდებოდა (24.2%) და სთავაზობს განსხვავებულ საქონელს/მოსახურებას (21.2%). რესპონდენტები ადასტურებენ, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სოციალურმა საწარმოებმა გააფართოვეს პარტნიორთა და მათი საქმიანობით დაინტერესებულ ორგანიზაციათა წრე და/ან გაზარდეს საკუთარი გავლენა. მიუხედავად ამისა, არსებობს სოციალური მეწარეობის ხელის შემშლელი სხვადასხვა ფაქტორი, რომელთაგან უმთავრესი დაკავშირებულია სამართლებრივი გარემოს მოწესრიგებასთან (რესპონდენტები მიუთითებენ სოციალური მეწარმეობის შესახებ სპეციალური კანონმდებლობის და საგადასახადო შეღავათების არარსებობაზე). ამას გარდა, სოციალური საწარმოს წამატებული ფუქციონირებისათვის მნიშვნელოვანია კადრების კვალიფიკაციის ამაღლება (18.5%).

9.1. სოციალური საწარმოების სტატუსი და საქმიანობის პროფილი

გამოკითხვაში მონაწილე 197 ორგანიზაციიდან, სოციალურ მეწარმეობას ეწევა 36 (დაახლ. 20% საერთო შერჩევიდან) - მათგან თბილისში საქმიანობს 13, დასავლეთ საქართველოში - 12, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - 11 სსო.

რაც შეეხება სსო-ების აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლების სტატუსს: ყველაზე მეტი - 23 სსო (63.9%) წარმოადგენს არამომგებიან, არასამთავრობო ორგანიზაციას, 12 სსო - მომგებიან საწარმოს, ხოლო 1 სსო საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. თბილისში, აღმოსავლეთ და და დასავლეთ საქართველოში გვაქვს შემდეგი სურათი:

- ✓ თბილისში: 8 სსო - არამომგებიანი, არასამთავრობო ორგანიზაცია, 5 სსო - მომგებიანი საწარმო;
- ✓ დასავლეთ საქართველოში: 9 სსო - არამომგებიანი არასამთავრობო ორგანიზაცია, 3 სსო - მომგებიანი საწარმო;
- ✓ აღმოსავლეთ საქართველოში: 6 სსო - არამომგებიანი არასამთავრობო ორგანიზაცია, 4სსო - მომგებიანი საწარმო, 1 სსო - საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

დიაგრამა #9.1



N=36

კვლევა აჩვენებს, რომ, საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოები მომხმარებელს/კლიენტებს სთავაზობს მრავალფეროვან საქონელს/მომსახურებებს. რესპონდენტებმა მათი ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული საქონელი/მომსახურებები **სამ ჯგუფში** გააერთიანეს, მნიშვნელოვნების მიხედვით. როგორც მონაცემები აჩვენებს, სამივე რიგის მნიშვნელოვანი პროდუქტის/მომსახურების შემთხვევაში, წამყვან პოზიციებზე სხვადასხვა საქონლის (როგორიცაა, მაგ: მინანქარი, ხე, თაფლი, წვენი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და სხვ.) წარმოება მოექცა. პირველი რიგის მნიშვნელოვან საქონელს/მომსახურებებს შორის ასევე შედარებით გამოიკვეთა თანაბარი ხვედრითი წილით საკონსულტაციო/საგანმანათლებლო/საინფორმაციო მომსახურება/აუდიო გამომცემლობა და სოციალური მომსახურება (ორივე - შემთხვევათა 13.9%). თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში დაფიქსირდა მსგავსი ტენდენციები.

დიაგრამა #9.2

სოციალურ მეწარმეობაში ჩართული სსო-ები საკუთარი პროდუქტის რეალიზაციას ნაწილობრივ ან სრულად ახდენენ (ნაწილობრივ - 44% - 16 სსო; სრულად - 36% - 13 სსო). თბილისში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში დაფიქსირდა მსგავსი ტენდენციები.

დიაგრამა #9.3

N=36

9.2. სოციალური საწარმოების კლიენტები/მომსახურების მიმღებები

სოციალური საწარმოების კლიენტები/მომსახურების მიმღებების ჩამონათვალი საკმაოდ გრძელია და მოიცავს როგორც ზოგადად მოსახლეობას, ასევე კონკრეტულ ჯგუფებს - შშმ და იძულებით გადაადგილებულ პირებს, ახალგაზდებს, ქალებს, ადგილობრივ, საერთაშორისო და ბიზნეს ორგანიზაციებს, ტურისტებს, სახელისუფლო ორგანოებს, კომერციულ დაწესებულებებს და სხვ. ამიტომ, მოხდა მათი დალაგება პრიორიტეტების მიხედვით სამ ჯგუფად:

- ✓ <u>პირველ ჯგუფში</u> ყველაზე მეტად გამოიკვეთა მოსახლეობა (შემთხვევათა 25%) და ტურისტები/უცხოელი სტუმრები (შემთხვევათა 22.2%);
- ✓ <u>მეორე ჯგუფში</u> - კვლავ წამყვან პოზიციაზეა მოსახლეობა (შემთხვევათა 20%), ასევე გამოიკვეთა ადგილობრივი ხელისუფლება (20%), საერთაშორისო ორგანიზაციები (20%) და მოწყვლადი ჯგუფები (10%);
- ✓ <u>მესამე ჯგუფში</u> - წამყვანი პოზიცია უჭირავს ტურისტებს/უცხოელი სტუმრებს (შემთხვევათა 30.8%), შედარებით გამოიკვეთა ორგანიზაციები/პარტნიორები (შემთხვევათა 15.4%)

ანალოგიური ტენდენციები დაფიქსირდა თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში.

დიაგრამა #9.4



სოციალურ მეწარმეობაში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლებს უნდა დაესახელებინათ კლიენტების/მომსახურების მიმღებების რაოდენობა ბოლო სამი წლის განმავლობაში (2012 – 2014 წწ.). პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ფაქტი, რომ მოცემული ჯგუფის რესპონდენტების უმეტესობას გაუჭირდა პასუხის გაცემა: კერძოდ, 2012 წლის შედეგებში შემთხვევათა 61.1%-ში დაფიქსირდა „მიჭირს პასუხის გაცემა“ (22 სსო- 36-დან), 2013 და 2014 წლის შედეგეგებში - შემთხვევათა 58.3%-ში (21 სსო - 63-დან).

კლიენტების/მომსახურების მიმღებების რაოდენობა დაჯგუფდა შემდეგნაირად: ა)არცერთი, ბ)3-10, გ)11-50, დ)51 – 100, ე)101-500, ვ)>500

როგორც მონაცემები აჩვენებს, კლიენტების/მომსახურების მიმღებების რაოდენობა გარკვეულად გაიზარდა 2012-14 წლებში. ეს განსაკუთრებით დაეტყო იმ სოციალურ საწარმოებს, რომელთა კლიენტურა მერყეობს 51–100 მომხმარებლის ფარგლებში.

მეორე მხრივ, კლიენტების/მომსახურების მიმღებების ზრდის დინამიკას აჩვენებს, აგრეთვე, კლიენტების რაოდენობის საშუალო მაჩვენებლების შედარება 2012–14 წლებში. ამ შედარების

თანახმად, 2014 წელს დაახლოებით 70%–ით მოიმატა სოციალური საწარმოების მომხმარებელთა რაოდენობამ 2012 წელთან შედარებით[12] (იხ. ცხრილი #).

თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში დაფიქსირდა ანალოგიური ტენდენციები.

დიაგრამა #9.5



ცხრილი #9.1

		კლიენტების საშუალო რაოდენობა (MEAN)
1	2012 წელი	1,297
2	2013 წელი	1,552
3	2014 წელი	2,258

[12] თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საშუალო მაჩვენებლების დინამიკის მკვეთრი ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს არა საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების, არამედ რომელიმე კონრეტული სოციალური საწარმოების კლიენტურის ზრდის ხარჯზე.

9.3. სოციალური საწარმოების სოციალური რეპრეზენტაცია

როგორც აღმოჩნდა, სოციალური საწარმოების მფლობელი სსო-ების დიდი უმრავლესობა (83.3% - მათგან ნახევარზე ოდნავ მეტი - რეგულარულად, ხოლო მესამედზე ოდნავ ნაკლები - ზოგჯერ) ფართო საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას, რომ გაეცნოს მათი აქტივობების შედეგებს. დასავლეთ საქართველოში ყველა სოციალური საწარმოს მფლობელი სსო რეგულარულად ან ზოგჯერ აძლევს საზოგადოებას საკუთარი აქტივობების შედეგების გაცნობის საშუალებას (12 სსო-დან 10 - რეგულარულად), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ 11 სსო-დან 10 პასუხობს რეგულარულად (4 სსო) და ზოგჯერ (6 სსო).

დიაგრამა #9.6



N=36

საზოგადოებისათვის საკუთარი საქმიანობის გაცნობის ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივატორია ახალი კლიენტების მიზიდვის საჭიროება (შემთხვევათა თითქმის მესამედი). ამას გარდა, შედარებით გამოიკვეთა დონორების დაფინანსების უზრუნველყოფა (შემთხვევათა 21.1%) და საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების საჭიროება, რათა ორგანიზაციამ იზრუნოს განვითარებაზე (შემთხვევათა 19.3%). თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში ანალოგიური ტენდენცია დაფიქსირდა, ერთი ნიუანსური განსხვავებით: აღმოსავლეთ საქართველოში რიგით მეორე მოტივატორად დასახელდა ადგილობრივი თემის/პარტნიორი ორგანიზაციების ნდობის მოპოვების საჭიროება.

დიაგრამა #9.7



9.4. სოციალური საწარმოების ფინანსური მდგომარეობა და მდგრადობა

რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ შემოსავლის შემდეგი წყაროების მნიშვნელოვნება სოციალური საწარმოების დაფინანსებაში:

- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციები, უცხოელი დონორები;
- ✓ საწევრო ჰონორარი;
- ✓ სახელმწიფო ფონდები;
- ✓ ეკონომიკური/ბიზნეს აგენტები;
- ✓ დონაცია;
- ✓ მომსახურების/პროდუქტის მიწოდება.

კვლევა აჩვენებს, რომ სოციალური საწარმოების **ძირითად დამფინანსებლად,** 2012 წლიდან მოყოლებული, გვევლინება, საერთაშორისო ორგანიზაციები/უცხელი დონორები. თუმცა, შემოსავლის ალტერნატიულ წყაროებს წარმოადგენს მომსახურების/პროდუქტის მიწოდება, საწევრო ჰონორარი და სახელმწიფო ფონდები.

დიაგრამა #9.8



რამდენად შეიცვალა შემოსავლის სხვადასხვა წყაროების წილი ბოლო 3 წლის განმავლობაში (2012 – 14 წწ.) იმ სსო-ების შემოსავლის საერთო სტრუქტურაში, რომლებიც ეწევიან სოციალურ მეწარმეობას?

როგორც მონაცემები აჩვენებს, შემოსავლის წყაროების წილი სოციალური საწარმოების საერთო სტრუქტურაში ძირითადად იგივე დარჩა, ან მცირედ გაიზარდა. ამას მიუთითებს საშუალო მონაცემებიც (Mean) 3 ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ მიუთითებს შემცირების, ხოლო ციფრი „3“ - გაზრდის შესახებ. საერთო მონაცემების მიხედვით, მცირედით გაზრდილია (ე.ი საშუალო მაჩვენებელი (Mean)>2) სახელმწიფო ფონდების (დაახლ. 9%-ით) და ეკონომიკური/ბიზნეს აგენტების (დაახლ. 8%-ით) წილი. თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი განსხვავებები, ერთის გარდა - აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო ფონდების წილი, განსხვავებით საერთო, თბილისის და დასავლეთ საქართველოს მონაცემებისგან, ძირითადად იგივე დარჩა.

დიაგრამა #9.9



N=36

Mean data calculated for a 3 point scale, where 3 corresponds to “Increased” and 1 to “Decreased”. 2 is the neutral point on the scale.

რაც შეეხება სოციალური საწარმოების წლიური ბრუნვის მაჩვენებლებს 2012–14 წლებში, ისინი საკმაოდ დივერსიფიცირებულია: არსებობენ საწარმოები მცირე (10 000 –ზე ნაკლები) წლიური ბრუნვით და ორგანიზაციები, რომელთა წლიური ბრუნვა მილიონს აღწევს.

დიაგრამა #9.10



რაც შეეხება წლიური ბრუნვის დინამიკას 2012–14 წლებში, კვლევა აჩვენებს, რომ ამ თვალსაზრით სახეზეა ზრდა როგორც 2012, ისე 2013 წელთან შედარებით:

დიაგრამა #9.11



სოციალურ საწარმოების წარმომადგენლების ნახევარზე ოდნავ მეტი ფიქრობს, რომ სოციალურ წარმოებას შეუძლია იარსებოს სხვადასხვა დონორისგან მიღებული გრანტების გარეშე (სავსებით ან უფრო შესაძლებლად მიიჩნევს 52.8% - მათგან ცალსახად შესაძლებლად მიიჩნევს - 22.2%. იგივეს მოწმობს საშუალო მაჩვენებელი (Mean), რომელიც უტოლდება „3"-ს, ე.ი. მოქცეულია მაღალი შეფასების ველში (შეფასების სკალა 4-ქულიანია, სადაც ციფრი „1" ნიშნავს სრულიად შეუძლებელს, ხოლო „4" - სავსებით შესაძლებელს). ანალოგიური ტენდენცია გამოვლინდა თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში.

დიაგრამა #9.11



N=36

სოციალური საწარმოების წარმომადგენლების დიდი უმრავლესობა (83.3% - 30 სსო 36-დან) თვლის, რომ მისი ორგანიზაციის მსგავს ორგანიზაციებს სახელმწიფო უნდა დაეხმაროს. ამისათვის კი, პირველ რიგში, სახელმწიფოს მიერ უნდა გატარდეს შემდეგი ორი სახის ღონისძიება:

- ✓ ზოგიერთი სოციალური პროგრამის სუბსიდირება (შემთხვევათა 26.1%);
- ✓ ინოვაციური პროექტების ინვესტირება (შემთხვევათა 23.9%).

შედარებით გამოკვეთილია, აგრეთვე, სასტარტო ეტაპზე სუბსიდირების უზრუნველყოფა (შემთხვევათა 15.2%).

თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში გამოვლინდა, რომ ინოვაციური პროექტების სახელმიფოს მხრიდან ინვესტირების სურვილი უფრო რეგიონებში

აქვთ (თბილისში აღინიშნა მხოლოდ 1 შემთხვევა, დასავლეთ საქართველოში - 3, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 7 შემთხვევა).

დიაგრამა #9.12



9.5. სოციალური საწარმოების წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორები

რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან თითოეული რამდენად მნიშვნელოვანია დღესდღეობით მათი ორგანიზაციის წარმატებისათვის. 14 ფაქტორი უნდა შეფასებულიყო 5-ქულიან სკალაზე. როგორც აღმოჩნდა, ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი მნიშვნელოვანია სსო-ე წარმატებისათვის - 14 ფაქტორის საშუალო მაჩვენებლები (Mean) მოექცა მაღალი შეფასების ველში. თუმცა, განსაკუთრებით გამოიყო ის ფაქტორები (Mean >4), რომლებიც ძირითადად უკავშირდება ლიდერისა და მენეჯმენტის უნარ-ჩვევებს და გამოცდილებას, ინვესტორებისა და დონორების დახმარებას, ინტერნეტის გამოყენებას:

- ✓ ლიდერის და წამყვანი მენეჯმენტის ბიზნეს უნარები - საშ. მაჩვენებელი (Mean) 4.7;
- ✓ ინტერნეტის და ელექტრონული სოციალური ქსელების გამოყენება - საშ. მაჩვენებელი (Mean) 4.7;
- ✓ ლიდერის წინა პროფესიული გამოცდილება - საშ. მაჩვენებელი (Mean) 4.4;
- ✓ დონორი ორგანიზაციების დახმარება - საშ. მაჩვენებელი (Mean) 4.4;

- ✓ გუნდის წევრების წინა პროფესიული გამოცდილება - საშ. მაჩვენებელი (Mean) 4.3;
- ✓ სტრატეგიული ინვესტორები - საშ. მაჩვენებელი (Mean) 4.2

შედარებით დაბალი საშუალო მაჩვენებელი (Mean) აქვს ცნობილი ბიზნესმენებისა და პოლიტიკური ელიტის (3.6) და ასევე გამოჩენილი ადამიანების (3.7) მხარდაჭერას. თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილში არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი განსხვავებები.

დიაგრამა #9.12



Mean data calculated for a 5 point scale, where 5 corresponds to "Very important" and 1 to "not important at all". 3 is the neutral point on the scale.

N=36

რესპონდენტების დიდი უმრავლესობა (83.3%) თვლის, რომ მათი ორგანიზაცია შესაძლებელია დახასიათდეს როგორც ინოვაციური (მათ შორის ცალსახად თვლის - 50% - 18 სსო). ინოვაციურობა კი კონკრეტულად გამოიხატება ორი ძირითადი მიმართულებით:

- ✓ აღნიშნული სსო-ები აკმაყოფილებენ საჭიროებებს, რომელთა დაკმაყოფილება ადრე არ ხდებოდა (შემთხვევათა 24.2%);
- ✓ სთავაზობენ განსხვავებულ საქონელს/მომსახურებას (შემთხვევათა 21.2%).

შედარებით გამოიკვეთა, აგრეთვე, აღნიშნული სსო-ების პროდუქციის/მომხმარებლის შეცვლა/ცვლილება (შეთხვევათა 15.2%). მსგავსი ტენდენციები დაფიქსირდა თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ასქართველოს ჭრილებში.

დიაგრამა #9.13



სსო-ებმა, რომლებიც სოციალურ მეწარმეობასაც ეწევიან ბოლო 5 წლის განმავლობაში, პარტნიორებთან და ადგილობრივ თემებთან ურთიერთობის პროცესში განიცადეს გარკვეული ცვლილებები, რომელთაგან შედარებით გამოიკვეთა სამი:

- ✓ გაფართოვდა იმ ორგანიზაციების წრე, რომლებიც დაინტერესებულები არიან სოციალური საწარმოების აქტივობით (შემთხვევათა 16.5%);
- ✓ გაჩნდა პარტნიორობის ახალი ფორმები (შემთხვევათა 14.4%);
- ✓ სოციალური საწარმოები გახდა უფრო გავლენიანი და სხვა ორგანიზაციები მიმართავენ დასახმარებლად (იმ ამოცანების მიღმა, რაც ამ სსო(ებ)ის მოვალეობებს შეადგენს) (შემთხვევათა 13.4%).

თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილში გამოვლინდა ერთი განსხვავება: თბილისში ყველაზე მეტად გამოიკვეთა სსო(ებ)-ის გავლენიანობის გაზრდა, როდესაც სხვა ორგანიზაციები მიმართავენ დახმარებისათვის (შემთხვევათა დაახლ.17%).

დიაგრამა #9.13



9.6. სოციალური საწარმოების განვითარების ხელის შემშლელი მიზეზები

სოციალური საწარმოების წარმომადგენლების მიერ დასახელდა სოციალური საწარმოების განვითარების **ხელის შემშლელი ორი ყველაზე გამოკვეთილი მიზეზი,** რომლებიც სამართლებრივი გარემოს მოწესრიგებას უკავშირდება:

- ✓ სოციალური საწარმოების შესახებ სპეციალური კანონმდებლობის არარსებობა (25.9%);
- ✓ სოციალური საწარმოებისათვის საგადასახადო შეღავათების არარსებობა (21.3%).

ამას გარდა, შედარებით გამოიკვეთა განათლების პრობლემა - სოციალური საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო–უნარ ჩვევებისა და შესაბამისი განათლების სიმწირე (შემთხვევათა 18.5%). თბილისის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჭრილებში არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი განსხვავებები, გარდა ერთისა - აღმოსავლეთ და დასაველთ საქართველოში დამატებით გამოიკვეთა „სოციალური საწარმოების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დეფიციტი“

დიაგრამა #9.14